F 939 N1-8524

ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 1 (1439)

27. I — 3. II, 1996 წ.

## კინკელმა უკმაყოფილება გამოთქვა

24 იანვარს საქართველოს და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, სარწმუნო წყაროს ცნობით, ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საკითხი განიხილეს. კლაუს კინკელის აზრით, საქართველოს მისი გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას აძლევს სატრანზიტო ქვეყნის როლი შეასრულოს, ამასთან კინკელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველომ საკუთარ ტერიტორიაზე ტვირთის ტრანზიტის გადასახადი გაზარდა. BGI

## მინისტრი დაინტერესდა სიკვდილმისჯილთა საქმით

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კლაუს კინკელი დაინტერესდა გელბახიანის და დომუხოვსკის საქმით. ეს მოხდა კლაუს კინკელის საქართველოში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

ამავე შეხვედრაზე საუბარი წარიმართა საქართველო-ოსეთის,საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხებზე. BGI

## დაადანაშაულეს ზამთრის სამზადისის ჩაშლაში

საქართველოს ენერგეტიკის ხელმძღვანელობის გადადგომის საკითხი დგება საქართველოს პრეზიდენტის და ხელმძღვანელობის წინაშე. ეს გადაწყვეტილება მიიღეს შტაბის გაფართოებულ სხდომაზე პარლამენტის წევრებმა, ჯანმრთელობის მინისტრმა, ქალაქის მერმა, ძალისმიერი სტრუქტურების, სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სხდომაზე გაისმა მკაცრი კრიტიკა საქენერგოს დეპარტამენტის მისამართით და თბილისის ელექტროგაყვანილობის სამმართველოს მიმართ. ისინი დაადანაშაულეს არაკომპეტენტურობასა და ზამთრის სამზადისის ჩაშლაში. BGI

## გადაწყვიტეს ჩაატარონ ნაადრევი არჩევნები

აფხაზეთის პარლამენტმა გადაწყვიტა ჩაატაროს ნაადრევი არჩევნები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაძევებული უმაღლესი საბჭო აცხადებს,რომ სოხუმის პარლამენტი ნებას დართავს მიიღოს მონაწილეობა ვიგგარეშე არჩევნებში მხოლოდ იმ პირებს,რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. გაძევებული უმაღლესი საბჭო თვლის ამას კიდევ ერთ ანტიკონსტიტუციურ მცდელობად, დააკანონოს არძინბას რუსული რეჟიმი — გადმოსცემს საქართველოს ტელევიზია.

## გენოციდის საქმის გამოძიება დამთავრდა

აფხაზეთის პროკურატურამ დაამთავრა აფხაზეთში ქართველთა გენოციდის საქმის გამოძიება და დაახლოებით 140 კაცზე აქვთ მომზადებული სანქცია. მაგრამ როგორც დაზარალებულ მხარეს, მას არ შეუძლია სანქციის გაცემა და ჯერჯერობით ამაოდ უცდის შესაბამისი სამსახურის რეაგირებას. „დრონი".

## სამხედრო პროკურორი ადანაშაულებს კიტოვანს და იოსელიანს

მესამე გვერდი

## ძალა კიდევ ხნავს აღმართს?

ეჰ, როდემდის! როდემდის!!!

მეოთხე გვერდი

## «თეთრმა მელამ» საკუთარ თავს მარტოობა მიუსაჯა

მეხუთე გვერდზე

სამშობლოს არ ირჩევენ, სამშობლო ჩვენთვის ბედისწერაა

## ამერიკა მართლა ამერიკა კი არ არის...

მეექვსე გვერდი

## ორი უკიდურესობა




მ. აბაშიძის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ როგორ ფიქრობს
# ციტატა

„... იქნება რა აფხაზეთი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფედერაციის სუბიექტი, იგი ისარგებლებს ასეთი სუბიექტებისათვის განსაზღვრული მსოფლიო სტანდარტების უმაღლესი დონით, აფხაზეთს ექნება თავისი კონსტიტუცია, თავისი გერბი, თავისი დროშა, ჰიმნი, თავისი პარლამენტი, უმაღლესი სასამართლო და სახელმწიფოებრიობის სხვა მრავალი ატრიბუტი".

ედუარდ შევარდნაძე
22.01.1996

„... ანტიეროვნული, პრორუსული პრეზიდენტი და პარლამენტი კვლავ სახელმწიფო პოლიტიკის ტრადიციული, ღალატის გზას ადგას".

ირაკლი წერეთელი
19.01.1996

„... მთავარია, გავძლოთ სანამ საშიში პერიოდია. ჩვენგან განსხვავებით, დასავლეთში საკმაოდ კარგად ესმით, რომ არც ერთი ადამიანი უკვდავი არ არის და ამდენად, ის, რომ საქართველოში დასავლეთის გარკვეული სტრატეგიული ინტერესები ჩაიდო (იგულისხმება ნავთობსადენი) არის არა შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტის დამსახურება, არამედ ეს ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ხდება, რასაც ქვეყნის სასიკეთოდ წარმართვა და გამოყენება სჭირდება".

ირინა სარიშვილი — ჭანტურია
18.01.1996

„... ახლა, როცა ჩეჩნეთი დანგრეულია, რუსეთის ტერიტორიებზე გადმოვინაცვლებთ. სხვა მეტი არაფერი დაგვრჩა... დაღესტნელი ხალხი უნდა მიხვდეს, რომ რუსეთისათვის ის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს".

ჯოხარ დუდაევი
18.01.1996

„...შევარდნაძე ცალსახად უჭერს მხარს რუსეთის ბრძოლას კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხების წინააღმდეგ და საქართველოს თანდათან ითრევს ანტიკავკასიურ ომში".

გიორგი კერვალიშვილი
18.01.1996

„ყოველი ქართველის, საქართველოს ყველა პატრიოტის გულს ერთნაირი სიამაყით ავსებს მარტყოფიც და მარაბდაც, ხრესილიც, დიდგორიც და კრწანისიც. ზოგჯერ ვაჟკაცურად, გმირულად წაგებული ბრძოლით უფრო ამაყობს ქართველი, ვიდრე მოგებულით. ასეთი ბრძოლების, ომების რიცხვს ეკუთვნის აფხაზეთის ომიც.

აფხაზეთის ომი საქართველოს ისტორიის უბრწყინვალესი ფურცელია...

XX საუკუნის ბოლოს ღალატის ძილისაგან გამოღვიძებულმა, იმპერიების მიერ სისხლისაგან დაწრეტილმა საქართველომ იომა აფხაზეთში უარმიოდ, მოხალისეებით და ფაქტობრივად გაიმარჯვა ბრძოლის ველზეც და მორალურადაც"...

ვაჟა ბერიძე, გაზეთი „ბულანი"

რედაქციისაგან: ჩვენს ახალ რუბრიკას — „ვინ როგორ ფიქრობს" — „ციტატები" — ყველა შემთხვევაში დავსტამბავთ ხოლმე უკომენტაროდ, მაგრამ თუ ისეთ გამონაკლისთან გვექნება საქმე, როგორადაც ვაჟა ბერიძის ციტატა წარმოგვიდგენია, გვაპატიოს მკითხველმა, თუ კომენტარისაგან თავს ვერ შევიკავებთ.

ამხანაგო ვაჟა, ვიდრე ისტორიულ მოვლენებზე წერას დაიწყებს ისეთი „ისტორიკოსი", თქვენ რომ ბრძანდებით, საჭიროა ჯერ ისტორიის წაკითხვა, ვიდრე აფხაზეთის ომს „საქართველოს ისტორიის უბრწყინვალეს ფურცლად" გამოაცხადებს, საჭიროა სამედიცინო შემოწმების გავლა...

# ომი, რომელსაც დღეს რუსეთი აწარმოებს ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ, არის ჩეჩენი ხალხის მოსპობისათვის გამიზნული

## 1995 წლის 26 დეკემბრის ერთობლივ განცხადებაზე ხელისმომწერ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა განცხადება

ვითვალისწინებთ რა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი რაოდენობით მოსახლეობისა და დაქირავებულების შეგროვება რუსეთის მიერ და მათი წამოყვანა აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ საომრად 1992-1993 წლებში იყო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება და, შესაბამისად, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი დამარცხება მთელი XX საუკუნის მანძილზე, და ვაღიარებთ რა ჩვენს მტკიცე განზრახვას, adre თუ გვიან, მივაღწიოთ უკლებლივ ყველა ზემოხსენებული მოხალისისა და დაქირავებულის წარდგენას სასამართლოს წინაშე, როგორც ქართველი ერის გენოციდისა და მის წინააღმდეგ მიმართული ეთნიკური წმენდის მონაწილისა, ამავე დროს, ჩვენს ვალად ვრაცხთ მივმართოთ კავკასიის ყველა ხალხს — ზოგ მათგანს დღეს არსებულ ხელისუფლებათა თავს ზემოთაც და მსოფლიოს ყველა ხალხებს განვუცხადოთ შემდეგი:

1. ომი, რომელსაც დღეს რუსეთი აწარმოებს ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ, არის ნაკლებ სწრაფი მეთოდით გაგრძელებული პოლიტიკა ჩეჩენი ხალხის, როგორც ერის, მოსპობისა, რომელიც რუსეთის იმპერიამ ერთხელ უკვე სცადა 1944 წელს ჩეჩენი მოსახლეობის სრული დეპორტაციის ფორმით და რომელიც უკვე იყო ნაფიქრებული და დასაბუთებული ჯერ კიდევ 1825 წლისათვის, რაც ფიქსირებულია დეკაბრისტების საპროგრამო დოკუმენტში „Русская Правда" როგორც „Выселение разбоничних народов Кавказа". ჩვენ კატეგორიულად ვგმობთ ამ პოლიტიკას, როგორც დანაშაულს ადამიანობის წინაშე და დანაშაულს მთელი კავკასიის წინაშე.



2. არ არის გამორიცხული, რომ უკანასკნელი ეპიზოდი — ყიზლარში და პერვომაისკში ანუ დაღესტნის ტერიტორიაზე მომხდარი ამბები — ნაწილობრივ მაინც გამოწვეული იყოს იმპერიული ძალების მისწრაფებით შეიტანონ განხეთქილება და ჩამოაგდონ მტრობა კავკასიელ ერებს ჩეჩნებსა და დაღესტნელ ხალხებს შორის. ჩვენ ამ ნაბიჯს ვგმობთ კავკასიის ზოგადი ისტორიულმასშტაბიანი ინტერესებიდან გამომდინარე.

3. არ არსებობს არავითარი ანალოგია — არც ისტორიული, არც პოლიტიკური და არც მორალური, ერთის მხრივ, რუსულ-ჩეჩნური და მეორე მხრივ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს შორის. აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, რომელშიც ორი ათასწლეულის მანძილზე შერეულად სახლობენ დღევანდელი ქართველებისა და აფსუების წინაპრები. აქ მთელი შუასაუკუნეებრივი არქეოლოგია პირწმინდად ქართულია და ამ ტერიტორიაზე არასდროს არსებულა სხვა სახელმწიფოებრიობა, გარდა ქართულენოვანისა, ისეთი ეპოქის ჩათვლით, როცა საქართველოს დანარჩენ ნაწილებში სახელმწიფოებრიობა აღარ არსებობდა არაბთაგან დაპყრობის გამო (მე-8 საუკუნე). ჩეჩნეთი კი ისტორიულად მახლობელ წარსულში რუსეთის მიერ ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილი ქვეყანაა, რომელშიც რუსეთს თავისი ხელისუფლება არასდროს განუხორციელებია სხვაგვარად, თუ არა ძალადობით.

4. შექმნილ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტ შევარდნაძის მოვალეობად მიგვაჩნია საქვეყნოდ და სახალხოდ განცხადება იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის არცერთი მტკაველი არ იქნება გამოყენებული ჩეჩნეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის არც ერთი მხარის მიერ, როგორც ამ საბრძოლო მოქმედების წარმოების ბაზა. ამგვარი განცხადების არგაკეთება იქნება საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება ამ თემისადმი განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღესაც უკანონოდ იმყოფება რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ხელისუფლების არასაკმარისად მტკიცე ან არასაკმარისად მორალური პოზიციის დაკავების შემთხვევაში, თავიანთი დისლოკაციის ადგილი გამოიყენონ ზემოთხსენებული საომარი მიზნისათვის.

## მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გადმოგვცემენ

**„თავისუფლება".** რუსეთისთვის პერვომაისკოეს მოვლენები სირცხვილი იყო არა მარტო სამხედრო, არამედ მორალური თვალსაზრისითაც, თუ გავიხსენებთ, რომ რამდენიმე ასეულ ჩეჩენ მეომარს თითქმის ათი დღის განმავლობაში გააფთრებით ებრძოდა რუსეთის ჯარის საგანგებო შენაერთები, მძიმე არტილერია და ავიაცია, სულ 2000 კაცზე მეტი. მიუხედავად ამისა, სალმან რადუევმა მეომართა ჯგუფთან ერთად მოახერხა სოფლიდან გაქცევა და ახლა სამშობლოშია.

სალმან რადუევი კი უკვე ინტერვიუებს არიგებს. ერთ-ერთ მათგანში მან ამაყად განაცხადა — ბანდიტებს გვიწოდებენ, მაგრამ ბანდიტები არა ვართ. ჩვენ ალაჰის ჯარისკაცები ვართ და თავისუფლებისათვის ვიბრძვით.

ფრანს-პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში სალმან რადუევმა თავი იმით იმართლა, რომ რუსებმა ჩეჩნებს სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს.

დასავლელი მიმომხილველები იმ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ სალმან რადუევმა რუსეთის ჯარის მიერ გამოყენებული მძლავრი იერიშის მიუხედავად, არა მარტო მოახერხა თავი დაეღწია იმ ჯოჯოხეთისთვის, არამედ თან 80-მდე მძევალიც გაიყოლა. მათ შორის — რუსეთის არმიის საგანგებო შენაერთებისა და შინაგანი ჯარის მოსამსახურეები. თვით რადუევმა ერთ-ერთ ჟურნალისტს უთხრა — „ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ რუსეთის ჯარის უსუსურობა". რადუევი თავს დამარცხებულად არ სცნობს და აცხადებს: კვლავაც გააგრძელებს ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, იმ დრომდე რუსეთის მხარე არ მიიღებს დუდაევის მიერ წამოყენებულ პირობებს.

**ორტ.** რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა განაცხადა, რომ ჩეჩენ ტერორისტთა წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია უახლოეს დღეებში გამკაცრდება და ფედერალური ჯარები გააძლიერებენ თავის მოღვაწეობას, რათა გაანადგურონ და ხელში ჩაიგდონ ამ ფორმირების ლიდერი, სეპარატისტთა მეთაური ჯოხარ დუდაევი.

**„ტორონტო მეილი".** როდესაც პრეზიდენტმა ელცინმა განაცხადა, რომ შეიქმნა მისი საარჩევნო შტაბი, დასტურია იმისა, რომ ბატონ ელცინს მეორე ვადით აქვს განზრახული პრეზიდენტობის შენარჩუნება. პერვომაისკოეში სისხლიანმა თავდასხმამ ჩეჩენ მოიერიშეებზე ცხადყო პრეზიდენტის სტრატეგია. იგი მკაცრი კურსის მომხრე კანდიდატად წარსდგება ამომრჩეველთა წინაშე. ბორის ელცინი ბოლოს იმათ ამოუდგა მხარში, ვინც ჯარი გააგზავნა ჩეჩნეთში 1994 წელს.

**„გარდიანი".** კრემლის ავანტიურამ ჩეჩნეთში ცხადყო რუსეთის სამხედრო ძალებისა და მისი უმაღლესი მთავარსარდლის ბორის ელცინის სისუსტე, აგრეთვე რუსი გენერლების არაკომპეტენტურობა.

**„უოლ სტრიტ ჯორნელი".** რუსეთის ეს ყველაზე მშფოთვარე რეგიონი სერიოზულ სამხედრო და პოლიტიკურ პრობლემას უქმნის კრემლს. ჩეჩნეთის ომმა კითხვის ქვეშ დააყენა რუსეთის ფედერალური სისტემა. ჩეჩნეთის კრიზისის მოგვარება მოხდება მშვიდობიანი გზით თუ ძალის მეშვეობით, — ამან უნდა განსაზღვროს რუსეთის სხვა რეგიონების ურთიერთობა მოსკოვთან.

**„ინდეპენდიენტი".** ალბათ ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ სისხლისღვრით დამთავრდებოდა მძევალთა გათავისუფლება პერვომაისკოეში. ბევრი იმასაც კი იტყვის, რომ პრეზიდენტ ელცინს არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, გარდა ძალის გამოყენებისა. მაგრამ მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა მაშინ, როდესაც შეიარაღებული ინტერვენცია მოახდინა ჩეჩნეთში 1994 წლის დამლევს.

ინტერვიუ

# თამარ ჩხეიძე: რუსეთი ცდილობს ააშენოს ახალი იმპერია

BGI-ს კორესპონდენტი ინგა ღაღიანი ესაუბრა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერს ქ-ნ **თამარ ჩხეიძეს**

**— ოპოზიციურმა ძალებმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ შეთანხმების რატიფიკაციაზე, რომელიც ითვალისწინებს ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრობას, კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობას. თქვენ, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, იზიარებთ ამ შეხედულებას?**

— ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ ამ დოკუმენტის. არგუმენტი მისივე შინაარსში მდგომარეობს. ჩვენ ვთვლით, რომ თანამშრომლობა, რომელზეც ამ შეთანხმებაშია ლაპარაკი, უბრალოდ დაუშვებელია.

**—თქვენი შეხედულება არ შეცვლილა მოსკოვში ვიზიტის შემდეგაც?**

— არა, რა თქმა უნდა. იმას, რასაც საქართველოს ხელისუფლება დიდ გამარჯვებად მიიჩნევს, სინამდვილეში სერიოზულ ძვრებს ვერ გამოიწვევს. რადგან როგორც ადრე, ყველაფერი ქაღალდზე დარჩება. ხოლო არაოფიციალურად ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამას რუსეთი ჩათვლის საჭიროდ.

**— თქვენი აზრით, შევარდნაძის მოსკოვში ვიზიტი შედეგებს არ გამოიღებს?**

— რა თქმა უნდა. თეორიული შანსიც კი არ არის ამ გზით აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის. ხოლო განცხადება იმის თაობაზე, თითქოს დსთ-ს ქვეყნების ინტეგრაციას გააჩნდეს გასაღები აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად — აბსურდია, თუმცა, ეს ჩვენი ხელისუფლების კურსია.

**— როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთის და საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი მოლაპარაკების რატიფიკაციისა და მოსკოვში ვიზიტის შემდეგ?**

— რუსეთი ცდილობს ააშენოს ახალი იმპერია და ამ მიმართულებითვე მუშაობს. ამას უწოდებენ დსთ-ს ქვეყნების ინტეგრაციას. რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობა ემსახურება რუსეთის მიზნის განხორციელებას — შექმნას ძველი კავშირის ტიპის სახელმწიფო.

**— და, თქვენი აზრით, როგორ უნდა ითანამშრომლოს ამ ორმა ქვეყანამ?**

— დამოკიდებულება მათ შორის უნდა აიგოს პრინციპით — ორი დამოუკიდებელი ქვეყნის თანამშრომლობა. საქართველოს ისე უნდა ეჭიროს თავი, როგორც ეს დამოუკიდებელ ქვეყანას შეეფერება. მე მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე ვარ. და საქართველოც არ უნდა იქცეს რუსეთისთვის საომარ პოლიგონად. აი, დოკუმენტი, რომელიც რატიფიცირებულია ჩვენი პარლამენტის მიერ, სწორედ ამის განმტკიცების საშუალებაა.

**— ასეთ შემთხვევაში, როგორ გესახებათ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გზები?**

— საქართველომ თვითონ უნდა აღადგინოს დაკარგული ტერიტორიების იურისდიქცია. არავინ სხვა, მათ შორის რუსეთი, არ გააკეთებს ამას ჩვენი გულისთვის.

**— მაგრამ ხელისუფლებამ რომ არჩევანი რუსეთზე შეაჩერა?**

— ესეც აბსურდია. რუსეთმა ამ ტერიტორიის ოკუპირება მოახდინა. ჩვენმა ქვეყანამ ყველაფერს თავის სახელი უნდა დაარქვას. ეს კი სწორედ ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს. მერე კი მოამზადოს ჩვენი შეიარაღებული ძალები. ამისთვის დიდი დრო არ დაგვჭირდება, თუნდაც გავითვალისწინოთ ჩვენი საბრძოლო პოტენციალი. დღეს საომარი ჩარევა რუსეთის მხრიდან აფხაზურ კონფლიქტში, ვერ იქნება მასშტაბური. ხოლო არძინბას პრობლემას, თუ საქართველოს ხელისუფლება მოინდომებს: დასვას ეს საკითხი, ჩვენ თავს გავართმევთ.

# სამხედრო პროკურორი ადანაშაულებს კიტოვანს და იოსელიანს

ჩვენი კორესპონდენტი ნინო ზამთარაძე ესაუბრა სამხედრო პროკურორს ნუკრი გოგიციძეს

**— ბატონო ნუკრი, რა პრობლემების წინაშე დგას დღევანდელი სამხედრო პროკურატურა და საერთოდ, რას გვეტყოდით თქვენი სამსახურის სტრუქტურის შესახებ?**

— სამხედრო პროკურატურა შეიქმნა 1992 წელს, ივლისის თვეში. ამ დროს დაიწყო აფხაზეთის ომი. ამიტომ, ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება გაძნელდა. არ ჰქონდა შენობა, სატრანსპორტო საშუალებები. ცუდ მდგომარეობაში იყო კადრების შერჩევის და დანიშვნის საქმე. საქართველოს არ ჰქონდა სამხედრო პროკურატურის გამოცდილება. ამ სფეროში თავი მოიყარა იმ ხალხმა, ვინც ადგილი ვერ იპოვა პროკურატურაში და უშიშროების სამსახურში. მარტო იურისტის დიპლომი არ კმარა. მთავარია სამხედრო გამოცდილება. სამხედრო საქმის გამოცდილების მქონე ამ დროს საქართველოში, ორი პიროვნება იყო, სანდრო კოდუა და სოხუმის პროკურორის თანაშემწე, თოდუა. სიძნელეების მიუხედავად, სტრუქტურა ჩამოყალიბდა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ალ.შუშანიშვილს. დღეისათვის არსებობს სამხედრო პროკურატურის ცენტრალური აპარატი და რვა რეგიონალური სამხედრო პროკურატურა, სადაც 100-მდე ოფიცერი მუშაობს. დღეისათვის მიმდინარეობს მუშაობა სამხედრო პროკურატურის რეორგანიზაციისათვის, ამ კომისიას როლანდ გილიკაშვილი ხელმძღვანელობს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სტრუქტურა უნდა შეიცვალოს ცენტრალური აპარატის შემცირების ხარჯზე.

**— ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურორის მოადგილემ, ანზორ ბალუაშვილმა თენგიზ კიტოვანს ბრალი დასდო აფხაზეთის ომის პროვოცირებაში. თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?**

— ცნობილია პრეზიდენტის ანალოგიური აზრი ამის თაობაზე. 1992 წლის აგვისტოში იყო საშუალება, რომ თავიდან აგვეცილებინა ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში. იმ პერიოდში კიტოვანი თავდაცვის მინისტრი იყო, ამიტომაც მას მიუძღვის ლომის წილი ამ ომის დაწყების საქმეში.

**— ამბობენ, რომ თენგიზ კიტოვანმა საქართველოს კუთვნილი თვითმფრინავი აზერბაიჯანში გაყიდა. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— თვითმფრინავთან დაკავშირებულ საქმეს რესპუბლიკის პროკურატურა სამხედრო პროკურატურასთან ერთად იძიებს. ფაქტი დადასტურებულია, საბუთებით, ხელმოწერებით. 1992 წლის შემოდგომაზე კიტოვანის მხრიდან ადგილი ჰქონდა უკანონო ქმედებას. მან ორი ახალი CY 25 ტიპის თვითმფრინავი გადასცა აზერბაიჯანის რესპუბლიკას, გარკვეული ანაზღაურების საფასურად. მე მიმაჩნია, რომ ამით ჩვენი ქვეყნის ინტერესები დაზარალდა. პასუხისმგებლობის საკითხს სასამართლო გადაწყვეტს.

**— ჯაბა იოსელიანს მიუძღვის თუ არა სამხედრო დანაშაული?**

— თუ პასუხისმგებლობას ვანიჭებთ კიტოვანს, იგივე დანაშაული მიუძღვის იოსელიანს, ის ხომ შეიარაღებული ნაწილის მეთაური იყო.

**— ჰყავს თუ არა ძებნილი დღეს საქართველოს სამხედრო პროკურატურას?**

— ჩვენი ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა უარი თქვა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლაზე. ისინი თვითნებურად ტოვებენ სამხედრო ნაწილებს და ჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს. აქ ლაპარაკია ასეულობით ახალგაზრდაზე. შეიძლება დღეისათვის ჩვენთან არ არსებობს ის პირობები, რომელიც ნიშანდობლივია ცივილიზებული სამყაროსათვის, მაგრამ ჯარისკაცი ვალდებულია ყველა სიძნელეს გაუძლოს. ეს ხალხი არის ძირითადად ჩვენი ძებნილები. როცა ტოვებენ სამსახურს და გარბიან, ჩვენ ვაღძრავთ, მათ მიმართ, სისხლის სამართლის საქმეს. არსებობს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის საფუძველზე გაქცეულებს პასუხისგებაში ვაძლევთ.

**— დაფიქსირებულია ჯარში პოლიციის საშუალებით ახალგაზრდების ძალადობით წაყვანის ფაქტები. კანონსაწინააღმდეგოა თუ არა ეს ქმედება?**

— [illegible] ამ ზომამდე არ უნდა იყოს მისული. როცა ახალგაზრდას ჯარში წასვლის დრო მოუვა, უნდა მიდიოდეს. თავისუფალ საქართველოში შენ უნდა შექმნა ჯარი. მაგრამ ჩვენ კონკრეტულ ფაქტებს მივეცით შეფასება, რადგან კანონის დარღვევას კანონიერი ხერხებით უნდა ებრძოლო.

**— იარაღი, რომელიც აფხაზეთის ომის დროს ჰქონდა ხალხს მიღებული თავის დროზე არ დააბრუნეს. დღეს გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ იარაღს აბრუნებენ და სასჯელი ეხსნებათ, თქვენ რა გვეტყვით ამის თაობაზე?**

— ეს პრობლემა ათეული წლების განმავლობაში იქნება. ხალხს იარაღი სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის დროიდან ჰქონდა შემონახული. ნებისმიერი ხერხი მისაღებია თუ იარაღი იქნება ამოღებული, რადგან ეს იარაღი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ემუქრება. ეს ხერხი დღეისათვის მე მისაღებად მიმაჩნია.

**— ბატონო ნუკრი, უახლოეს პერიოდში გამოვლენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ რას გვეტყვით?**

— დაკავებულია თავდაცვის სამინისტროს სურსათ-სანოვაგის უფროსი, დატაცებისა და უყაირათობისათვის 15 ათასი ლარი გაფლანგულიდან ამოვიღეთ და თავდაცვის სამინისტროს დავუბრუნეთ. ჩვენ დავსჯით ყველას, ვინც ქართული ჯარის მშენებლობას ხელს შეუშლის.

**გმადლობთ.**

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩით

# დიდ დილომში გამოჰყავთ ყინვაგამძლე ადამიანების ახალი ჯიში...

დიახ, აქ ახალ, გაუმჯობესებულ ჯიშზეა ლაპარაკი, თორემ ყინვაგამძლე ადამიანები უკვე კარგა ხანია ცხოვრობენ დიდ დილომში. ეს ღვთისგან, ქალაქის მერიისაგან და ხელისუფლებისგან მიტოვებული გარეუბანი დედაქალაქისა, უკვე რამდენიმე წელია ელექტროენერგიის უმცირესი მარაგით იტანს ყოველ ზამთარს. როცა მთელი საქართველო გასაჭირშია, ჩვენი შეჭირვება რა სახსენებელიაო, — ამ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით იტანდნენ დიდი დილმის პატივცემული მოქალაქენი წინა ზამთრების სუსხს და უკეთესი მომავლის მოლოდინში გაყურსულები ელოდნენ გაზაფხულის სითბოს.

წინა ზამთარი მარლაც შეცვალა გაზაფხულმა. გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, ზაფხულს შემოდგომა და დახეთ უბედურებას. შემოდგომის შემდეგ არავისთვის უკითხავს, ისე მობრძანდა ისევ ზამთარი — ცივი და სუსხიანი.

ზამთარი რომ კვლავ გვეწვეოდა, ცხადია, ხალხმა ეს იცოდა, დეპუტატობის ცალკეულ კანდიდატებისთვის კი ზამთრის მოახლოება არჩევნებში პირდაპირ გამარჯვების გარანტიად იქცა.

საშემოდგომო არჩევნებში დეპუტატობის ის კანდიდატები, რომელთაც ხელისუფლება, უკაცრავად პასუხია, ხელისუფლების პარტია მოქავშირი და ხელისუფლები სხვა წვრილი მომხრე პარტიები უჭერდნენ მხარს, საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ — დენი გინდათ? გექნებათ დენი. სითბო გინდათ? გექნებათ სითბო.

ხალხიც ფიქრობდა, ეს შარვალგამოხეული ოპოზიციონერები ჩვენ რას გვიშველიან, თავიანთი თავისთვის ვერ მოუვლიათო, ისევ ამ ხელისუფლებასთან ჩახუტებულ კანდიდატებს მივცეთ ხმა, იქნებ მართლა გვეშველოს რამეო და შედეგიც ცნობილია...

მაშინ არავის ახსენდებოდა „მონტიორები“ კი არა, პოლიტიკოსები რომ იყო ასარჩევი ქვეყნის უმაღლეს საკრებულოში...

შუქი გექნებათო, — ვინც იტყოდა, კაციც ის იყო და პოლიტიკოსიც... ჰოდა ავირჩიეთ ასეთი „პოლიტიკოსები“. საერთო განწყობას არც საბურთალოს რაიონი ჩამორჩა და დეპუტატად მიავლინეს ძველი ფუნქციონერი ილო ხუციშვილი, რომლის ლამაზმა დაპირებებმა დიდ დილმელები ერთიანად მოხიბლა. და აი, როგორც გითხარით, რაღაც ეშმაკად დიდ დილომშიც მოვიდა ზამთარი. ელექტროენერგია და ხუციშვილი კი არჩევნების შემდეგ დიდ დილომში აღარ გამოჩენილან.

ომი იყო და ელექტროენერგიის საქმე უკეთ გვქონდა, ვიდრე დღეს არისო. — ბოლოსდაბოლოს, დიდი დილმის მოქალაქენიც აღშფოთდნენ.

რაღაც ეშმაკად დიდ დილმიდან გორაკზე შეფენილი სოფელი დილომიც მოსჩანს, რომელიც მუდამ გაბრდღვიალებულია. შეჰყურებენ შორით ჩაკუნაპეტებული დიდ დილმელები გაბრდღვიალებულ დილმელებს და ამოოხვრით ინუგეშებენ თავს — იმათ ფული აქვთ გადახდილიო.

ფულს ხანდახან დიდი დილმის მოქალაქენიც იხდიან. მაგალითად, ხმა დაირხევა, დღეს შუქი იქნება, გასვენებაა ან ქორწილი და ამა და ამ ოჯახს ფული აქვს გადახდილიო. ეს ხმები, უცნაური ის არის, რომ ყოველთვის მართლდება. ფულს, რა თქმა უნდა, მავანი და მავანი იღებს და უმწიკვლო საქენერგო, უმწიკვლო ქალაქის მერია და უუმწიკვლესი ხელისუფლება ასეთ „მიტმასნილებზე“ პასუხს, რა თქმა უნდა, არ აგებს...

ერთი სიტყვით, დიდ დილმელებსაც აევსოთ მოთმინების ფიალა და არზა გააშანშალეს პარლამენტარ ხუციშვილის სახელზე — 13 იანვარსაო, გადავკეტავთ გზასაო, თუ არა და დენი გამოგვიგზავნეთო.

13, მოგეხსენებათ, ფინთი ციფრია. არც დენი მოვიდა, არც დეპუტატი, დათქმულ ადგილზე, სამაგიეროდ, ტრასაზე გასულ „ბუნტოვშიკ“ დიდ დილმელებს მათზე მეტი პოლიციელი დახვდათ. სახელმწიფოს ზომები წინასწარ მიეღო. პოლიციელები სათანადო დავალებით გამოეგზავნა და ხალხი თვალისდახამხამებაში გაფანტეს.

შედეგი კიდევ ის იყო, რომ ძველით ახალი წელი, წინა წლისგან განსხვავებით, უშუქოდ წაბრძანდა დიდი დილმის ტერიტორიიდან.

შუქი ახლაც მცირე ხნით მოვარდება და მყისვე გავარდება ხოლმე, მაგრამ ამას აბა რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ავირჩიეთ...

ყინვაგამძლე დიდ დილმელები



მ. აბაშიძის ნახატი

## გამგებელი და მისი საგანმგებლო

ამ სახელდებით გთავაზობთ ახალ რუბრიკას. რესპუბლიკურ გაზეთებს რესპუბლიკური კი ჰქვია, ანუ მთელი საქართველოს მასშტაბით გვევალება მოვლენებისა და ფაქტების დაფიქსირება, მაგრამ მრავალი მიზეზის გამო ეს არ ხდება. რაიონების ცხოვრება ძირითადად პრესის ყურადღების მიღმა რჩება, რის გამოც რაიონული მასშტაბის ხელმძღვანელი უფრო დაზღვეულად და ხელშეუხებლად გრძნობს თავს, ვიდრე სახელმწიფოს პირველი პირები, ამიტომ ზოგი რაიონის ხელმძღვანელს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. დღეიდან გთავაზობთ აღნიშნულ რუბრიკას. შესაძლებლობისდაგვარად ვეცდებით ცალკეული რაიონების შესახებ მოვუთხროთ მკითხველს. არც იმ გამგებლებს უნდა დავუკარგოთ ამაგი, ვინც პატიოსნად იღწვის თავისი ხალხისთვის და არც იმათ უნდა შერჩეთ უზურპატორობა, ვინც ფიქრობს, რომ რაიონი და კანონი თვითონ არის, როგორც ამას მეთოთხმეტე ლუდოვიკო ამბობდა.

# ძალა კიდევ ხნავს აღმართს?
## ეჰ, როდემდის! როდემდის!!!

მცირე საწარმოთა პრივატიზაცია კარგა ხანია საქართველოში მიმდინარეობს და თუ ქონების მართვის სამინისტროს ხელმძღვანელთა პრესაში თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გაკეთებულ განცხადებებს დაუჯერებთ, ციფრობრივი, მონაცემებიც საკმაოდ შთამბეჭდავია. რაიონების ჭრილში (აჭარის რეგიონის გარდა, რა თქმა უნდა) არ დარჩენილა არც-ერთი რაიონი, სადაც სახელმწიფო ქონების განკერძოების ეს იმედის მომცემი პროცესი არ დაწყებულიყო. მათ შორის იყო ასპინძის რაიონიც, სადაც 1995 წლის ზაფხულში კოლექტივის 3 წევრისა (კოლექტივი სულ სამ წევრს ითვლიდა იმ დროისათვის) და ერთი გარეშე პირის მიერ შექმნილი ამხანაგობის მიერ იჯარით იქნა აღებული შემდგომი გამოსყიდვის უფლებით კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველოს ფირმა „საქკომეწრემშენის“ ასპინძის წარმომადგენლობა, აღნიშნულის კანონიერება სცნო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიამ (დადგენილება №4710959 9 ოქტომბერი 1995 წელი) მაგრამ, ნუ იტყვით, თურმე ამხანაგობის წევრების, რაიონში პრივატიზაციის პროცესის ნამდვილი პიონერების, სიხარულს დიდი დღე არ უწერია.

გაიგო თუ არა მომხდარის შესახებ ასპინძის რაიონის გამგებელმა ბატონმა გიორგი (ჟორა) წითლანიძემ, პირდაპირ ცოფები ყარა: როგორ გაბედეთ, თქვე უდღეურებო. ეს საწარმო ხომ ჩემიაო! გაგიკვირდებათ, ბატონ ჟორას საწარმო თავისად მიაჩნია მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის 20—22 წლის წინ ამ საწარმოს უფროსადაა ნამუშევარი. კეთილი, ბატონო ჟორა, მაგრამ ამხანაგობის სამი წევრი (ნ.ელიზბარაშვილი, ამ საწარმოს უფროსი 1991 წლიდან, ლ.ხიხალაშვილი ამ საწარმოს მთავარი ბუღალტერია 1980 წლიდან) ხომ ბოლო წუთამდე არიან საწარმოს მუშაკები? ამხანაგობის მე-4 წევრი იყო ამ საწარმოს ხელმძღვანელი. რა უფლებით ართმევთ მათ მიერ შექმნილი ამხანაგობის ამ მართლაც და „მცირე საპრივატიზაციო ობიექტის“ შეძენის უფლებას?

მოვლენები შემდგომში ასე განვითარდა: ბ-ნ წითლანაძემ შექმნა კომისია გამგეობის მუშაკებისაგან, დაავალა ამ კომისიას ჩაეტარებინა დოკუმენტური რევიზია ზემოაღნიშნულ საწარმოში. მკითხველი ღმერთმა დაიფაროს ამ კომისიის მიერ შედგენილი აქტის წაკითხვისაგან. ეს არის უვიცობის, გაუნათლებლობის, არაკვალიფიციურობის უნიკალური ნიმუში. სწორედ ეს „უნიკალური აქტი“ განიხილა ბატონმა ჟორამ გამგეობის სხდომაზე და თითქოს და აქტში აღნიშნული „უხეში“ დარღვევისათვის გაანთავისუფლა საწარმოს ხელმძღვანელი ნ.ელიზბარაშვილი დაკავებული თანამდებობიდან.

მარტო ამ განთავისუფლებით ბატონი ჟორა რამდენიმე, რბილად რომ ვთქვათ, უხეშ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას უშვებს: საწარმოს რევიზია მის ზემდგომს უნდა ჩაეტარებინა ადგილობრივი ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ან რეგიონში მოქმედი კონტროლის პალატის რეგიონალური სამსახურის მუშაკებს, მაგრამ ბატონ ჟორას არც-ერთი აწყობდა და არც მეორე, ბუნებრივია, მათზე ზეგავლენა გაუჭირდებოდა, აქტის გამგეობის სხდომაზე განხილვას აუცილებლად უნდა დასწრებოდა თვით მატერიალურად პასუხისმგებელი პირი (ნ.ელიზბარაშვილი), მის დაუსწრებლად აქტის განხილვა და მითუფრო თანამდებობიდან განთავისუფლება საკუთარი ძალაუფლების გადამეტებაა გამგებლის მხრიდან და სხვა არაფერი. ის ამ ქმედებით არად აგდებს ფირმა „საქკომენრემშენის“ უფლებას მისი ასპინძის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის განთავისუფლება-დანიშვნის საქმეში, ამიტომაც ვერ აიცდინა კიდევ ერთი „უხერხულობა“, თურმე ნ.ელიზბარაშვილი ამ დროისათვის კუთვნილ შვებულებაში იმყოფებოდა (ფირმა „საქკომუნრემმშენის“ 1995 წლის 18 ივლისის №21 ბრძანება) შვებულებაში მყოფი მუშაკის განთავისუფლება კი მოგეხსენებათ, ადამიანის ელემენტარული უფლების ფეხქვეშ გათელვაა. როგორც ვნახეთ, ბატონი გიორგი კანონს არად დაგიდევთ, მისთვის მთავარი მიზნის მიღწევაა და არა გზა ამ მიზნის მისაღწევად: განთავისუფლებული ნ.ელიზბარაშვილის ადგილზე მის მიერ ინიშნება ჯანიკო ჟორჟიკის ძე ასტატურიანი, ავტოტექმომსახურების სადგურის მუშაკი, არა სპეციალისტი. ეს უკანასკნელი ბატონ ჟორას უანგაროდ (რაშიაც ზოგიერთებს ეჭვიც კი ეპარებათ და არცთუ უსაფუძვლოდ) იმდენად „შეჰყვარებია“, რომ არა მარტო უკვე პრივატიზებულ საწარმოს უფროსად დანიშნა, არამედ მონდომებას არ აკლებს მასვე შეასყიდოს ავტოტექმომსახურების სადგურიც.

ასე იყო თუ ისე, ძალამ ამჯერადაც მოხნა აღმართი, ბატონმა ჟორამ ქონების მართვის სამინისტროს წარუდგინა ცნობა ნ.ელიზბარაშვილის განთავისუფლების შესახებ, [illegible] შეიყვანა სამინისტროს კოლეგია, რომელმაც [illegible] ერვე მიღებული დადგენილება და ასპინძის რაიონში პრივატიზებული ეს ერთადერთი ობიექტი ისევ სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნდა.

სასამართლო იმსჯელებს მომხდარის კანონიერება-უკანონობის შესახებ, იმედია სამართლიანობა აღდგება და ამხანაგობა დაიბრუნებს კანონიერად პრივატიზებულ ობიექტს, მაგრამ ამით ვაი, რომ ყველაფერს არ ეშველება.

კომუნისტური მმართველობიდან დაწყებული გ.წითლანაძე სხვადასხვა დროს იყო რ-ნის ხელმძღვანელ პოსტებზე, იგი იყო უკანასკნელი რაიკომის პირველი მდივანიც, დემოკრატიულად არჩეული პარლამენტარიც, გამგებელი, ბევრი რამ შეიცვალა ამ პერიოდში საქართველოში. გარდატეხა მოხდა ადამიანთა აზროვნებაში, მაგრამ... წითლანაძე ისევ წითლანაძედ დარჩა: მიხვრა-მოხვრით დაწყებული, მართვის სტილით, გაუთავებელი თათბირებით, უტოპიური დაპირებებით, ქედმაღლობით, ხელისუფლების უზურპაციით და საკუთარი თავის განდიდების მანიით; მასში მცირეოდენი ცვლილებაც კი არ შეუტანია განვლილ წლებს.

რაიონში არაფერი და არავინ მუშაობს, ყველაფერი მოშლილია. წითლანაძე კი მორიგი თათბირისთვის ემზადება... ხალხი უძლებს, ითმენს, მაგრამ როდემდის!

**მ.ღვინიაშვილი**
**ასპინძის რაიონი**

## სამადლობელი ბარათები

# ადამიანს სასწაულის მოხდენაც შეუძლია

### ცოლის წერილი

იყო დედა, ყველაზე დიდი ბედნიერებაა ქალისთვის. ეს გრძნობა თორმეტი წლის წინ განვიცადე, როდესაც გოგონა შემეძინა. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ჩემი სიხარული. მესამე დღეს ბავშვი გარდაიცვალა. დიაგნოზი — ბირთვული სიყვითლე, რაც გამოიწვია ჩემს სისხლში არსებულმა ანტისხეულებმა (ეს ანტისხეულები ჩნდება რეზუს უარყოფით სისხლში). ექიმებმა სამი წლის განმავლობაში ამიკრძალეს ბავშვის ყოლა. ეს პერიოდი საჭირო იყო სისხლის გაწმენდისათვის. მეორე ფეხმძიმობისას დამჭირდა მკურნალობა, რათა ანტისხეულები არ გაჩენილიყო სისხლში. ჩავიტარე რამოდენიმე კურსი. ყოველდღე ინექციები ვენებში, მედიკამენტები, მაგრამ ანტისხეულები ისევ ჩნდებოდა. ხანგრძლივმა მკურნალობამ გამოიწვია ალერგია მედიკამენტების მიმართ. შოკიდან ჩემს გამოსაყვანად ექიმებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ. არავითარი იმედი აღარ იყო, რომ ბავშვი ჯანმრთელი დაიბადებოდა. ანტისხეულებთან ბრძოლის ბოლო საშუალება იყო ე.წ. კანის გადანერგვა. ამან შედეგი გამოიღო. ბავშვი დაიბადა ჯანმრთელი, მაგრამ მე ამიკრძალეს მეორე ბავშვის ყოლა. მეტი რა გზა მქონდა, თითქოს შევეგუე ამ აზრს, მაგრამ იმედს არ ვკარგავდი. მჯეროდა, რომ არსებობდა სადღაც რაღაც ცოდნა, რაც შეებრძოლებოდა ანტისხეულებს.

წინათგრძნობამ არ მილალატა. გავიცანი პიროვნება, რომელიც ჩემთვის პირველ რიგში სულიერი მამა და მოძღვარი გახდა და ამასთან ერთად ყოვლისშემძლე მკურნალი. ეს პიროვნება გახლავთ საზოგადოება „რერიხი — სამყაროს დედა“-ს პრეზიდენტი და გაზეთ „სამყაროს დედას“ რედაქტორი, პროფესიონალი იოგი თამაზ თავაძე.

— შვილო, შენ კიდევ ბევრი შვილი გეყოლება — და ამ სიტყვებთან ერთად მისი თვალებიდან გამოსხივებულმა სიყვარულის სხივმა დაბადა ჩემში რწმენა.

ჩავწვდი რა იოგას ბ-ნი თამაზის ხელმძღვანელობით, დავიწყე სისხლის გაწმენდაზე მუშაობა. შედეგიც მალე გამოჩნდა. ორსულობის განმავლობაში არ გაჩენია ანტისხეულები, მაშინ, როცა მედიცინის აზრით, უფრო უნდა მომრავლებულიყო. მომეხსნა ტოქსიკოზი და საერთოდ, ყველა პრობლემა, რაც ადრე მაწუხებდა. რაც მთავარია, აღარ მაშინებდა ალერგია მედიკამენტების მიმართ. ბ-ნი თამაზის წყალობით შემიძლია ნებისმიერი ავადმყოფობა მოვირჩინო მედიკამენტების გარეშე. მშობიარობამაც იოლ ფორმებში ჩაიარა. დღეს მე ბედნიერი დედა ვარ — მყავს ორი ვაჟიშვილი.

ყველა ეს მიღწევები იოგას დამსახურებაა, რომლის საიდუმლოებაშიც თამაზ თავაძემ ჩამახედა და საკუთარი გამოცდილებით (მასთან, ოფისში ბევრჯერ მინახავს მძიმე სნეულებებიდან განკურნებულნი) კიდევ ერთხელ დამანახა უსაზღვრო შესაძლებლობები.

**ელზა აბუაშვილი**

გაგრძელება მე-8 გვ.

# აფთიაქს დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ



თითქმის საუკუნეა, რაც თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე №1 აფთიაქი დედაქალაქს ემსახურება. თბილისელებს კარგად ახსოვთ, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჩვენში კომერციული ჯიხურები მომრავლდებოდა, ეს აფთიაქი მათთვის მართლაც რომ გაჭირვების ტალკვესი იყო. აქ შუაღამემდე მუშაობდნენ, მხოლოდ აქ თუ იშოვიდით დეფიციტურ მედიკამენტებს. დღევანდელი კომერციული ვაჭრობის ფონზე, ეს ღირსებები თითქმის მიიჩქმალა. ალბათ ამით ისარგებლეს დაინტერესებულმა პირებმა, მიაქციეს ყურადღება ადგილმდებარეობის მიზანშეწონილობას და დააპირეს ამ აფთიაქის შენობის მითვისება. კერძოდ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კომერციულ ბანკ „აჩის“ წარმომადგენლობას სურდა აფთიაქის ფართის „დათრევა“. საინტერესოა საზოგადოებისთვის ის ფაქტიც, თუ რატომ უნდა გადაიხადოს ერთ აფთიაქში შესყიდულ წამალში მოქალაქემ ზოგჯერ ორჯერ მეტი თანხა, ვიდრე ეს რამდენიმე მეტრით მოშორებულ მეორე აფთიაქში ღირს. თუ ყოველივე ამას საბაზრო ეკონომიკა განაპირობებს, იმას მაინც რაღა უშლის ხელს, რომ წამლებს ფასი ზედ ეწეროს და გამყიდველის ნება-სურვილზე არ იყოს დამოკიდებული, — კითხვაზე რა ღირს? — გამცენ პასუხი თავის შეხედულებისამებრ.

ამ საკითხზე გავესაუბრეთ №1 აფთიაქის მმართველს ბატონ სოკრატ სალუქვაძეს;

**— ჩემთვის ცნობილია, რომ №1 აფთიაქის შენობაში უნდა განთავისებულიყო კომერციული ბანკი „აჩი“. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?**

— მინდა ამ მტკივნეულ საკითხზე ობიექტურად გიპასუხოთ. მე ყური მოვკარი, ხოლო შემდეგ აფთიაქშიც გამოჩნდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები, რომლებიც მთავაზობდნენ თავიანთ წინადადებას, რომ მე კომერციულ ბანკისთვის დამეთმო ეს შენობა, რის შედეგადაც გარკვეულ მოგებას ვნახავდი და ხელს მოითბობდა რამდენიმე კომერსანტი. შემოთავაზებული წინადადების შემდეგ ღია წერილი მივწერე ბატონებს: ედუარდ შევარდნაძეს, კობა იმედაშვილს და ბადრი შოშიტაიშვილს. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ჩვენს განსახლებასთან დაკავშირებით სიტყვიერად გვიპასუხეს, რომ უახლოეს დღეებში ჩვენს შორის დაიდება ათწლიანი ხელშეკრულება, რის შედეგადაც №1 აფთიაქს არავითარი საფრთხე განსახლებისა არ დაემუქრება.

**— ბატონო სოკრატ, წამლის ფასს როგორ საზღვრავთ და არის თუ არა სხვაობა კომერციულისაგან?**

— მაინც ჩამითრიეთ პოლიტიკურ საუბარში. აფთიაქის ფასების პოლიტიკა დიდი სახელმწიფო პოლიტიკა გახლავთ.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოში ერთიანი სახელმწიფო პრეისკურანტი ქართულ მედიკამენტზე არ არსებობს და არ გამიგონია ამ წლების განმავლობაში, წამლის გაძვირებაზე ან გაიაფებაზე ვინმეს პასუხი მოეთხოვოს.

ჩვენი ფასები და კომერციული აფთიაქის ფასები გათანაბრებულია. ფაქტიურად ჩვენ ბიზნესმენების ე.წ. კომერსანტების ხელში ვართ ჩავარდნილი და მე ვიქეცი კომერსანტების კომერსანტად.

**— ამ მდგომარეობიდან საერთო გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სახელმწიფო აფთიაქები, რომლებიც დარჩნენ და ჯერ არ განუცდიათ სრული დეგრადაცია, ამ აფთიაქთა ასოციაცია შეიქმნას, მიეცეს ამ აფთიაქებს უპროცენტო კრედიტი, რომელსაც უკანვე დაუბრუნებენ სახელმწიფოს, ხოლო აღებული სესხით პროფესიონალები პროფესიონალურად მოუვლიან წამალთმომსახურეობის საქმეს.

არქიმედე ბრძანებდა: — მომეცი საყრდენი წერტილი და გადავაბრუნებ დედამიწასო. მე არ ვაპირებ დედამიწის გადაბრუნებას, მოგვეცით კრედიტი! კრედიტს უკან დაგიბრუნებთ და ამ კრედიტით იარსებებს პროფესიონალური საათფთიაქო ქსელი.

**ესაუბრა**
**ია ბუკოვსკაია**

უცხოეთის პრესიდან

*ქვემოთ გთავაზობთ რუსეთის გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც ავტორი ცდილობს საქართველოს პრეზიდენტის მორალური სახის წარმოსადგენად აქცენტი გააკეთოს იმაზე, რომ პრეზიდენტი ციხეში აგზავნის თავის ყოფილ მეგობრებს.*

*ჩვენი პრეტენზია კი პრეზიდენტისადმი პირიქით იმაში გამოიხატება, რომ დასაჭერების დაჭერა უფრო ადრე ვერ შეძლო და რომ მის ყოფილ თანამებრძოლთაგან სხვებიც იმსახურებენ ამდაგვარ დამოკიდებულებას*

## პოლიტიკური პორტრეტი

# „თეთრმა მელამ“ საკუთარ თავს მარტოობა მიუსაჯა

### ედუარდ შევარდნაძე თავის ყოფილ თანამებრძოლებს მეთოდურად აგზავნის ციხეში

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი

**პირველი არ არის პოლიტიკის ისტორიაში, ვინც მოქმედებს პრინციპით „მეგობარი ციხეში უნდა იჯდეს“.**

„პოლიცია მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას საქართველოში და მე გავაკეთებ ყველაფერს, რათა, რაც შეიძლება მალე, რესპუბლიკაში მართლწესრიგი დამყარდეს“ — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ.

უფრო ოპტიმისტურად შეაფასა სიტუაცია ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ: გასული წლის მნიშვნელოვანი და ძირითადი მოვლენები იყო — ნოემბერში ჩატარებული არჩევნები, ეკონომიკის სტაბილიზაცია და გამარჯვება ტერორიზმზე.

## ძალიან ხმამაღლა ხომ არ არის ნათქვამი!

1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე თბილისში დაბრუნდა. ამ დროისთვის მან უკვე ორჯერ მოასწრო სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრობა, და იმ რაოდენობის პოლიტიკური ქულები მოაგროვა საერთაშორისო არენაზე, რომ მას გაეროს გენერალური მდივნის ადგილსაც კი უწინასწარმეტყველებდნენ.

რა დახვდა მას სამშობლოში? საქართველომ ის ის იყო თავიდან მოიშორა პირველი საერთო-სახალხოდ არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. იგი დამხობილი იქნა იმიტომ, რომ ვერ შეძლო ეხელმძღვანელა ქვეყნისთვის და გარდა ამისა, გააჩნდა აკვიატებული იდეა ქართული ნაციის განსაკუთრებულობაზე. ოდესღაც მდიდარი რესპუბლიკა ნახევრად შიმშილობდა, აწარმოებდა გაუთავებელ და ზოზინა ომს სამხრეთ ოსეთის ავტონომიასთან, და აწყნარებდა სისხლიან მღელვარებას ქვეყნის დასავლეთით, სადაც დამხობილი ლიდერის მომხრეები იყვნენ ამბოხებულნი.

შევარდნაძე ქვეყანაში სახელმწიფო საბჭოს მოწვევით ჩამოვიდა, რომელიც რესპუბლიკას მართავდა ძველი დიქტატორის დამხობასა და ახლის არჩევის შუალედში. ამ სტრუქტურაში შედიოდნენ ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული სამი პიროვნება.

სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი, ყოფილი (გამსახურდიას რეჟიმის დროს) თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და ასევე (გამსახურდიას დროს) ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. სწორედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში ზვიადის



**ჯაბა იოსელიანი „მხედრიონის“ ლიდერი და შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების მთავარი ინიციატორი - მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.**

მოწინააღმდეგებს და ბოლოს და ბოლოს აიძულეს პრეზიდენტი გაქცეულიყო გროზნოში, სადაც მან ჯოხარ დუდაევს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა.

აი, ამ სახელმწიფო საბჭოს ჩაუდგა სათავეში ედუარდ ამბროსის ძე, რომელსაც ვიწრო პოლიტიკურ წრეებში თეთრ მელიას უწოდებენ.

შევარდნაძის დაბრუნების მთავარი ინიციატორი ჯაბა იოსელიანი იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა: ახლომხედველი ბრიყვი უნდა იყო კაცი, რომ უარი თქვა ასეთ ადამიანთან თანამშრომლობაზე. „მხედრიონის“ ლიდერი იმ დროისთვის იყო მეცნიერებათა დოქტორი (თეატრმცოდნეობა) და შეთავსებით, დამსახურებული კანონიერი ქურდი,. (17 წელი გაატარა ციხის ნარებზე). მისი რაზმები დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ყველაზე უფრო ორგანიზებული და გამოცდილი სამხედრო შენაერთები ქვეყანაში, რაც საკმაოდ აძლიერებდა იოსელიანის, როგორც პოლიტიკოსის, გავლენას.

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის დაბრუნებაზე თანახმა იყო კიტოვანიც, რომელიც ნასამართლევი იყო მკვლელობის გამო. ის კიტოვანი, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აფხაზეთში წარუძღვა, რითაც პროვოცირება გაუწია წაგებულ ომს. სწორედ კიტოვანი გახდა პირველ იმ „თანამებრძოლთა“ შორის, რომელთაგან თავის დაღწევა მოხერხებულად დაიწყო შევარდნაძემ. იმ დღეს, როდესაც პარლამენტი იხილავდა კიტოვანის განთავისუფლებას თავდაცვის მინისტრის პოსტიდან, სახელმწიფო უშიშროების და მილიციის თანამშრომლები მოყვანილ იქნენ საბრძოლო მდგომარეობაში, ხოლო შენობას, სადაც ამ საკითხის მოსმენა ხდებოდა, იცავდა სპეცდანიშნულების რაზმი.

კიტოვანის შემდეგ თანამდებობიდან გადაყენებული იქნა თენგიზ სიგუა და ესეც შევარდნაძის ინიციატივით! და ისევ ყველაფერი ძალიან მშვიდად განხორციელდა. მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციურმა გაზეთმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მეთაური გეგმიურად იშორებს იმათ, ვინც ის ხელისუფლებაში მოიყვანა.

ცოტა უფრო რთულად იყო იოსელიანის განთავისუფლების საქმე, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა სახელმწიფოში მეორე პირად და შევარდნაძის ერთგულ საყრდენად. მიუხედავად იმისა, რომ მის და მისი ორგანიზაციის წინააღმდეგ მრავალი დადგენილება იქნა მიღებული, „მხედრიონის“ ლიდერი აცხადებდა, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ არის მასსა და შევარდნაძის, მის ერთგულ მეგობარსა და თანამებრძოლს შორის.

თანასწორობა შენარჩუნებული იქნა მანამდე, სანამ 1995 წლის 29 აგვისტოს არ მოხდა თავდასხმა შევარდნაძეზე. საქართველოს პარლამენტის ეზოში მომხდარი აფეთქება ისე დროული იყო და



**თენგიზ სიგუა — ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შევარდნაძის თანამებრძოლი — გადაყენებული ყველა თანამდებობიდან შევარდნაძის მიერ**



ისეთი უმნიშვნელო ზიანი მოიტანა, რომ ბევრმა ანალიტიკოსმა ჩათვალა, რომ იგი თვით საქართველოს მეთაურის ორგანიზაციით მოხდა. ყოველ შემთხვევაში, სახეზე და ხელებზე რამდენიმე ნაკაწრი უფრო მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე აზერბაიჯანის პრეზიდენტ გეიდარ ალიევზე ოთხი თავდასხმა, რომელთა შესახებ მსოფლიოს საზოგადოებას ოფიციალურმა ბაქომ შეატყობინა.

პირველ რიგში საქართველოს მტრად გამოცხადდა უშიშროების სამსახურის შეფი იგორ გიორგაძე — არცთუ ისე მრავალრიცხოვან პროფესიონალებს შორის ერთ-ერთი.

მეორე ის იყო, რომ დაიწყო „მხედრიონის“ ლიკვიდაცია. ამ ორგანიზაციის მეტნაკლებად ცნობილი წევრები, დაახლოებით სამასი კაცი, რამოდენიმე დღეში აღმოჩნდნენ ციხეში.

მესამე მოგება იყო ის, რომ აფეთქება გამოყენებულ იქნა კონკურენტების წინაალმდეგ მომავალ არჩევნებში.

მეოთხე — „თავდასხმის საქმეში“ მოჰყვნენ ხელისუფლებისათვის არც თუ ისე ხელსაყრელი პირნი და რესპუბლიკაში დაიწყო დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლის კამპანია.

ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ განაცხადა, რომ 29 აგვისტოს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და რომ ეს ფაქტი მთლიანად დამტკიცებულია. სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, შევარდნაძეზე თავდასხმაში მონაწილეობდა დაახლოებით ასი კაცი. აქციას ამზადებდა უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე ამხანაგებთან ერთად, ხოლო ბოროტმოქმედნი თათბირობდნენ მისი მამის [illegible] გიორგაძის ბინაში ([illegible] კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე).

იქვე, მეზობლად [illegible] პატიაშვილი, ყოფილი ცეკას პირველი მდივანი და შევარდნაძის კიდევ ერთი კონკურენტი პრეზიდენტის არჩევნების დროს. თავდასხმის იდეურად სულისჩამდგმელი და სპონსორი გახლდათ ჯაბა იოსელიანი, ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაარკვია შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რის გამოც იოსელიანი ბოლოს და ბოლოს დააპატიმრეს და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

საქართველოს შსს მტკიცებით, იოსელიანი და გიორგაძე მონაწილეობდნენ ყველა მნიშვნელოვან თავდასხმაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ასე რომ, პოლიციის წყალობით გამოვლენილი იქნა ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბოროტმოქმედთა ჯგუფი და ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ეს ყველაფერი არჩევნების წინ მოხდა.

კონკურენტების არყოლის გამო შევარდნაძემ დამაჯერებლად გაიმარჯვა არჩევნებში, ხოლო ორგანიზაცია „მოქალაქეთა კავშირის“ (რომლის თავმჯდომარეც შევარდნაძეა) წევრებმა პარლამენტში თითქმის ყველა ადგილი დაიკავეს — მთავრობას შეუძლია მშვიდად, ყოველგვარი განსხვავებული აზრის გარეშე მართოს სახელმწიფო. რამდენიმე დღის წინ დაიწყო თენგიზ კიტოვანის სასამართლო.

პასუხისმგებლობას ალბათ ვერც თენგიზ სიგუა, 1992 წლის სახ.საბჭოს ციხის გარეთ დარჩენილი ერთადერთი წევრი, ვერ გაექცევა. არაოფიციალური მონაცემებით, შსს უამრავი მაკომპრომენტირებელი მასალა გააჩნია სიგუაზე და ნებისმიერ წუთში მოსალოდნელია მისი დაპატიმრება. გარდა ამისა, საბერძნეთში ელჩად გაუშვეს ძველი კადრების ერთ-ერთი უკანასკნელი პროფესიონალი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

ვიღაც იტყვის: არ შეიძლება ასე მოექცე მეგობრებს და თანამებრძოლებს. ულამაზოა! თუმცა 1996 წლის დასაწყისისთვის ხელებგახსნილმა შევარდნაძემ შესამჩნევად განამტკიცა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ბაზა. ამისთვის ყველა წინაპირობა იყო: ქვეყნის დიდებული გეოპოლიტიკური მდებარეობა, ედუარდ შევარდნაძის მეგობრული ურთიერთობანი ევროპის წამყვან პოლიტიკოსებთან, საკუთარი რესურსები და კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დარჩა მემკვიდრეობით.

მაგრამ რჩება მთავარი პრობლემა — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. თუ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დაბრუნება შეიძლება თვითდინებას მივანდოთ, აფხაზეთის საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს. ოფიციალური თბილისის გაგება შეიძლება: ზუსტად აფხაზეთშია თავმოყრილი ქვეყნის მთავარი მონაპოვარი — კურორტები, ციტრუსები და ჩაი. აფხაზეთზე გადის ერთადერთი სარკინიგზო და ძირითადი საგზაო მაგისტრალი, რომლითაც საქართველო რუსეთს უკავშირდება. გარდა ამისა, აფხაზეთის დაბრუნება გადაწყვიტავს ამ რეგიონიდან დევნილი ასი ათასობით ლტოლვილის პრობლემას.



**თენგიზ კიტოვანი — ყოფილი თავდაცვის მინისტრი და შევარდნაძის მეგობარი — დღეს საბრალდებო სკამზე ზის.**

როგორც არ უნდა ჩანდეს შევარდნაძის მოქმედებანი გვერდიდან, ეს ქართველი ხალხის გულისწყრომას არ იწვევს. ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება. ეხლა თავში არავის მოუვა აზრად, რომ რუსულ მანეთში 600 კუპონი გადაიხადოს. ბოროტმოქმედებაც ნელ-ნელა თმობს თავის ერთი შეხედვით მყარ პოზიციებს. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ამდენი ხნის შემდეგ შესაძლებელი გახდა თბილისში ღამით უიარაღოდ სიარული.

**სერგეი ჩიორნიხი**

გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“

# სამშობლოს არ ირჩევენ სამშობლო ჩვენთვის ბედისწერაა

პირად წერილებს გაზეთში არავინ აქვეყნებს, ეს წერილიც საგაზეთო პუბლიკაციისათვის არ დაწერილა. თბილისელმა ქალიშვილმა, უნივერსიტეტდამთავრებულმა, განათლებულმა და კეთილშობილმა ახალგაზრდამ კონკურსში ამერიკის მოქალაქეობა მოიგო... აქაური პირობებით შეჭირვებული, მილეთის ფულის რუდუნებით შეგროვების შემდეგ, ამერიკაში გაემგზავრა. ეს წერილი იქიდან გამოუგზავნა თავის თანაკურსელ, თავის ახლო მეგობარ გოგონას. ვისარგებლეთ ამ უკანასკნელთან ახლობლობით და ამერიკიდან გამოგზავნილი ქართველი გოგონას წერილი რედაქციაში წამოვიღეთ (სახელები ინიციალებით შევცვალეთ). ამ წერილის გამოქვეყნება ორიგინალობის მიზნით არ გვიფიქრია. ერთი შეხედვით იგი ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო მარტივია, მაგრამ თავისი ფინალით, ადამიანებზე, ვფიქრობთ, ჩვენს პუბლიკაციას კარგ ნოყიერზე მეტი ზემოქმედება შეუძლია.

დღეს, როცა თითქმის ნახევარი საქართველო უკეთესი ბედის ძიებაში საზღვარგარეთისკენ ილტვის, ვფიქრობთ, ამ წერილის გამოქვეყნებას საზოგადოებრივი ღირებულება უნდა ჰქონდეს, რამეთუ სამშობლოს არ ირჩევენ, სამშობლო ჩვენთვის ბედისწერაა.

## ამერიკა მართლა ამერიკა კი არ არის...



**ჩემო მეგობარო თ-ნი**

ერთი წერილის ღირსი არ შევიქენი შენგან? ხმა არ ამოიღო, აქედან ვინ წამოვა, წერილი რომ გამოვატანო. გამოგზავნას აზრი არა აქვს, ან მოვა, ან არა. ახლა ერთზე მითხრეს, მოდისო. ნიუ-იორკის მთელ ქართველობას მაგის იმედი აქვს. მე არც კი ვიცნობ, შეიძლება ვერც გამოვატანო, მოკლედ, ამ წერილს გამოგზავნის საალბათო პერსპექტივით ვწერ.

ძალიან მომენატრა თ. ბოლო დღეებში რომ ვნახე, რაღაც სხვანაირი, რაღაცნაირი ბავშვის შთაბეჭდილება დატოვა (მანამდე არ ვიცნობდი, ფ-ა კიდევ მაგის ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებდა), დ-მაც აღნიშნა; ძალიან ხშირად მახსენდება ხოლმე, დედამისი რას შვრება, ნ-ს რეკომენდაცია ჯერჯერობით ვერაფერში გამოვიყენე. ისე, დიდი იმედი მაქვს (ოცნების დონეზე!). ხო, მინდა გთხოვო, მერე შეიძლება დამავიწყდეს. იქნება ეთერ ფიჩხაძის ტელეფონი იცოდეს ვინმემ, ვაშინგტონში. აქედან ვერ ჩავდივარ. დარეკვა შეიძლებოდა და რაიმეს გაგება, ძალიან მრცხვენია, მაგრამ აქ ასეთი რაღაცეები სირცხვილად არ ითვლება, რაც უფრო აგრესიული ხარ, მით უფრო მოსწონხარ (ყველანაირად); ფ. როგორაა, ეს წერილი წააკითხე და უთხარი, რომ შენზე უფრო მიყვარს.

შენ რას შვრები, დედაჩემმა მითხრა, რამდენჯერმე დარეკაო. მუშაობ თუ ისევ გრძელვადიანი დასვენება გაქვს. საერთოდ თუ მუშაობს თბილისში რაიმე ისეთი ორგანიზაცია, სადაც ჩვენნაირებს შეუძლიათ რაიმე გააკეთონ. იმ დღეს დედაჩემს ვუთხარი და შენც გეუბნები, 2-3 თვეში ალბათ ცოტა თვალებში გამოვიხედავ. შენი ჩამოყვანის (თუ კარგად მოიქცევი და თუ გინდა, რა თქმა უნდა) და დახვედრის (რაც მთავარია!) საშუალება მექნება, მაგრამ მაქიდან როგორ გამოგიშვებენ, არ ვიცი. რაიმე უნდა მოიფიქრო, ან ნ-ს თხოვო დახმარება. შენნაირები (ვისაც ქმარ-შვილი არ ჰყავს) ძირითადად საკონსულოში აწყობენ საქმეს და ისე მოდიან, ანდა რაღაც ბიზნეს-ვიზებს აკეთებენ. ხომ გეუბნები, ვიზის გამოგზავნა პრობლემა არ არის, მაგრამ უბრალოდ, არ გამოგიშვებენ. ძალიან მინდა მოგეხმარო. დედაჩემმა მითხრა, დიდი გაჭირვებები ილაპარაკაო. წარმომიდგენია, მანდ როგორ ხარ, მაგრამ მეგობარო, აქაც ძალიან ძნელია, იმდენად ძნელი, რომ აი, გეპატიჟები და ძალიან მეშინია. აქ ვინმეს ჩამოყვანა უდიდესი პასუხისმგებლობაა. შენი იმედი მაქვს, მაგრამ გაფრთხილებ, ძალიან გაგიჭირდება, თუ რაიმეს გადაწყვეტ, ასჯერ უნდა მოიფიქრო. ვიმეორებ, აქ ძალიან ძნელია, წარმოუდგენლად. მაქიდან ყველაფერი კარგად ჩანს, ამერიკა მართლა ამერიკა კი არ არის!

კარგად რომ გაერკვე ყველაფერში, მაგალითისათვის ჩემს თავგადასავალს მოგიყვები (თან ჩემს ამბებსაც გაიგებ). ნიუ-იორკში 20 ივლისს ჩამოვედი, პარასკევი იყო. აეროპორტში ვერავინ ვერ დამხვდა, იმ დღეს ყველა მუშაობდა (სხვათა შორის, ამაზე არავისთვის მიმიწერია, პირველად შენ გწერ). 2 საათი აქეთ-იქით ვიხედებოდი პატარა ბავშვივით. ტელეფონზე როგორ დამერეკა, ისიც არ ვიცოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი, ვილაცეებს ვაკვირდებოდი (მანამდე ვიკითხე, მაგრამ ვერ გავიგე) მ. სახლში არ იყო, მისმა ძმამ მითხრა, მე მოვალო. მაგრამ მე უკვე მოვშინაურდი კენედის აეროპორტში და აღარ მეშინოდა. ვუთხარი, არ შეწუხდე მეთქი. ავიყვანე ტაქსი და წამოვედი. ბოლოს ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩემი თავის, არავინ რომ არ შევაწუხე. (ამას იმიტომ ვწერ, რომ ამერიკა თბილისი არ არის, აქ იმდენად განსხვავებული და მძიმე სიტუაციაა, რომ შენი თავის პატრონი შენ უნდა იყო!)

პირველი დღიდანვე სამსახურის შოვნის იდეამ შემიპყრო. ძალიან განვიცდიდი სხვის კისერზე ყოფნას (ჩემნაირი გაღლეტილი ალბათ ამერიკაში პირველი ემიგრანტების მერე არავინ ჩამოსულა. სულ 230 დოლარი მქონდა და აქედან 30 ტაქსის მძღოლს მივეცი). წარმოიდგინე, პაპანაქება სიცხე, საშინლად მაღალი ტენიანობით, ზიხარ ერთ ბეწო ოთახში და ოფლად იღვრები, თან გული გისკდება ფიქრისგან, სამსახური რომ ვერ იშოვო, რა გეშველება. ყველანი მუშაობენ 12-14 საათი, საოცრად ძნელია თითოეული კაპიკის მოპოვება, შენ კიდე სხვის კისერზე ხარ. რა თქმა უნდა, არავინ არაფერს მეუბნება, პირიქით, ფულს არც მახარჯვინებენ. მაგრამ მეგობარო, ის თვენახევარი (როცა სამსახური არ მქონდა) იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ჯოჯოხეთი. არაფერი არ მახსოვდა, მზად ვიყავი, ნებისმიერი საქმე მეკეთებინა. ღამე ვიძინებდი ფიქრით, რა იქნება, ჩემს ოთახში რომ გამეღვიძოს-მეთქი. თან არაფერი არ იყო, სეზონის გამო ზაფხულში მთელი ქალაქი გასულია დასასვენებლად. ზოგან სულაც ჩემი „green card"-ის გამო არ მიღებდნენ, უუფლებო ემიგრანტები ერჩივნათ, იმათ რაღაც კაპიკებს გადაუხდიდნენ და მორჩა. ისე, მთელი ამერიკა არალეგალების ხარჯზე იქმნის კომფორტს, უხდიან ამ ხალხს იმის მეათედს, რაც ეკუთვნის და თვითონ საშინლად მოგებულნი რჩებიან.

ისეთ ხასიათზე ვიყავი, რომ ხანდახან საჭმელსაც არ ვჭამდი, გარეთ გასვლაც არ მინდოდა. შაბათ-კვირას ოკეანეში საბანაოდ დავდიოდი, კარგად ვერთობოდი, მაგრამ მერე მოდიოდა ორშაბათი და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. პირველად მ-მ თავის ყოფილ დამქირავებელთან წამიყვანა (babysitter-ად, ბავშვის მომვლელად უნდა მემუშავა). უსაზიზღრესი ქალი იყო, ნაგვიდან ახლადგამომძვრალი „ისპანიკი" (ასე ეძახიან აქ სამხრეთ ამერიკელებს, რომლებსაც ზანგებზე უფრო ვერ იტანენ). არ მოვეწონე ინგლისურის გამო. თბილისში მეგონა, ასე თუ ისე, ვიცოდი ეს ინგლისური, მაგრამ პრაქტიკასა და თეორიას შორის იმხელა ბარიერია, შეიძლება გაგიჟდე (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის იყო!) მაშინ მეგონა, რომ საშველი არ დამადგებოდა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მაგრად გამიმართლა, იმ „ისპანიკმა" რომ არ ამიყვანა; ისეთი საშინელი გამოხედვა ჰქონდა, რომ მერე სამი თვე მესიზმრებოდა. ერთხელ დამესიზმრა, რომ მე და ლორდესი (ასე ერქვა) მაგიდასთან ვისხედით და ქართულად ვლაპარაკობდით. იმას საშინელი გამომეტყველება აქვს, მე კიდე მინდა ინგლისურად დავუწყო ლაპარაკი, დავარწმუნო, რომ ვიცი, მაგრამ ვერ ვახერხებ, საშინლად ვიტანჯები, ვერაფრით ხმას ვერ ვიღებ.

მერე მ-მ თავის ყოფილ აგენტს დაურეკა, რომელიც babysitter-ად აწყობს ხალხს, ძირითადად არალეგალებს. მე არალეგალი არ ვიყავი, მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო. ეს ქალი (აგენტი) სხვებთან შედარებით ნორმალური იყო, არ იტყუებოდა, თორემ ისე, ეგეც მაგარი гнид-აა. რამდენიმე ინტერვიუზე (ასე ეძახიან ამერიკელები გასაუბრებას სამსახურში აყვანის წინ) გამგზავნა. ერთგან დამიწუნეს ასეთი მიზეზით — ძალიან აკადემიური გამომეტყველება აქვს, ამ საქმისთვის არ გამოდგება და თვითონაც არ იცის, რაზე მიდისო. მაშინ კინაღამ ვიტირე, მაგრამ მერე აზრზე მოვედი, ხო იცი. მოკლედ, ალღო ავუღე სიტუაციას, მივხვდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ამერიკელები საკმაოდ მარტივი ბუნების ხალხია (მაგრამ არა ადვილად სამართავი), თან ინგლისურშიც გავიწაფე. ბოლოს ისე მოხდა, რომ უკვე მე შემეძლო ამომერჩია, ყველას ძალიან მოვწონდი. 4 სექტემბერს მუშაობა დავიწყე, და ამბობენ, რომ ძალიან გამიმართლა. მშვენიერ ოჯახში მოვხვდი, გადასარევი ხალხია, თვალებში მიყურებენ. ორი ბავშვი ჰყავთ — 7 წლის გოგო და 5 წლის ბიჭი. გოგო მთელი დღე სკოლაშია, ბიჭი შეზღუდულია დროით. ბევრი საქმე მაქვს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ძალიან ცოტა. 1000 დოლარს მიხდიან, ეს ბევრი არ [illegible] აქაური ფასების გადასაკიდე, უფრო სწორად, ცოტაა, მაგრამ უარესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ისე, ამ ოჯახში შემთხვევის წყალობით ვარ. ზემოთ მგონი, გწერდი, რაც უფრო კარგად იცი ენა, უკეთეს სამსახურს შოულობ. ჯოანას (ჩემი ბავშვების დედას ჰქვია) ვარიანტი ისეთი კარგი იყო, რომ არც მეგონა, თუ ამიყვანდა.

თამრიკო, დღეს 22 დეკემბერია. ეს წერილი ერთი კვირის წინ დავწერე, ყველაფერი შეიცვალა, ქრისტეშობისთვის მაგარი საჩუქარი მივიღე — მითხრეს, რომ უნდა წავიდე. მგონი ცოლ-ქმარი იყრება თუ რაღაც. შემოვიდა გუშინ ოთახში ჯოანა და დაიწყო ტირილი. მთელი ღამე არ მეძინა. ახლა დილის 9 საათია. გული საშინლად მტკივა. ეს არის ამერიკა. რომ მცოდნოდა, ფეხს არ გამოვადგამდი — არავითარი გარანტია, რომ სამსახურს შეინარჩუნებ, მით უმეტეს, ჩემისთანასთვის. სად უნდა წავიდე, ვიცი, მაგრამ სამსახური როგორ უნდა ვიშოვო — არა. თან თბილისიდან დამირეკეს, რომ დედაჩემი საოპერაციოა, ფულია საჭირო. რომ შემეძლოს, უკან დავბრუნდებოდი (ჩვენებს სიტყვა არ უთხრა). ეხლა თუ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, გავგიჟდები. რატომ ადრე არ მითხარი-მეთქი და დაიწყო თავის მართლება — ძალიან მიყვარხარო, პატივს გცემო, რეკომენდაციებს მოგცემო. არც კი ვიცი, ვისი იმედი უნდა მქონდეს, საშინლად მიჭირს. ბოდიში, ამდენს რომ ვწუწუნებ, მაგრამ გაითვალისწინე ეს ყველაფერი, საკუთარი სახლი ჯობია ყველაფერს, ვინმესთან იტირებ მაინც.

გკოცნი ძალიან ბევრს
შენი მ.
**27.XII.95**
„დებილი" ქალაქი ნიუ-იორკი

## საზღვარგარეთ

### „გურიტამ" ვერ მიაღწია [illegible]

54 კაცი დაიღუპა და 150 ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად მას შემდეგ რაც სამგზავრო გემი „გურიტა" ჩაიძირა გასულ კვირას ინდონეზიის სამხრეთ ნაპირთან. ერთი ვერსიით იგი შეეჯახა უზარმაზარ წყალქვეშა ლოდებს. მის ბორტზე იმყოფებოდა დაახლოებით 250 ადამიანი, 13 ავტომობილი და 80 ტონა ტვირთი. მათ შორის იყო 9 უცხოელი ტურისტი. 3 მათგანი აღმოჩნდა კატასტროფის შემდეგ 47 გადარჩენილ ადამიანთან ერთად. პოლიცია, საჯარო განაყოფები და ოცამდე მაშველი გემი აგრძელებენ ძებნას. თუმცა დაკარგულ ადამიანთა ტრაგიკულ ბედზე ზვიგენებმა უკეთ იციან.

### სასწრაფოდ გადასაჭრელი ამოცანა

იაპონიის პარლამენტის ორივე პალატის პლენარულ სხდომაზე ახალმა პრემიერ-მინისტრმა, ხასიმოტომ და შიგაპოლიტიკური სამსახურის მეთაურმა იკედამ უყურადღებოდ არ დატოვეს რუსეთის საკითხი. პრემიერმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ტოკიო ყურადღებით მიადევნებს თვალყურს რუსეთში პოლიტიკური სიტუაციების განვითარებას, ტერიტორიული საკითხის დარეგულირებას მოსკოვთან შეთანხმებით, ტოკიოს დეკლარაციის მიხედვით. ხასიმოტომ გამოთქვა იმედი, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა გადადგამს ნაბიჯებს, ტერიტორიული კონფლიქტის დარეგულირებისათვის იაპონიასთან.

58 წლის იკედამ ხაზი გაუსვა, რომ ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტა არის სასწრაფოდ გადასაჭრელი ამოცანა იაპონურ დიპლომატიაში. ამასთანავე იაპონელი ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პრიმაკოვი ტერიტორიულ საკითხს გადასაჭრელად არ დაუტოვებს მომავალ თაობას.

### არაფატმა არ დაუთმო ადგილი მოხუცებულს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, პალესტინის ავტონომიის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა იასირ არაფატი, რომელმაც მიიღო ხმათა 88,1 პროცენტი. მხოლოდ საოცრებას შეეძლო მიეყვანა ხელისუფლებამდე მისი ერთადერთი კონკურენტი 72 წლის სამისუ ხალილი, რომელმაც მოაგროვა ხმათა 9,3 პროცენტი.

676 მილიონი კანდიდატიდან პალესტინელებს უნდა აერჩიათ 88 დეპუტატი ავტონომიის საბჭოში.

პალესტინის არჩევნებმა თავისებური რეკორდი დაამყარეს საერთაშორისო დამკვირვებლების მილიონობით ელექტორატზე. მხოლოდ ევროპის საბჭოდან ჩამოვიდა 300 მდე ადამიანი. მათ შეუერთდათ მარგარეტ ტეტჩერი და ჯიმი კარტერი. იაპონიამ პირველად გამოგზავნა თავის ისტორიაში ამდენი დამკვირვებელი (74). დამკვირვებლებმა, განსაკუთრებით ევროპის საბჭოდან ჯერ კიდევ თვის პირველ ნახევარში ბრალი დასდეს არაფატს იმაში, რომ მან შეცვალა დეპუტატების რაოდენობა ავტონომიის საბჭოში და შეამცირა საარჩევნო ვადები.

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

**ᲬᲣᲗᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ - ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ**

ამას წინათ ჩვენს ტრადიციულ რუბრიკაში „წუთშესვენება იუმორის გვერდი" დაიბეჭდა [illegible] „გაზიანი წყლების გამყიდველი", რომლის ავტორად რედაქციის ერთი „მტერი" [illegible] წყალობით გამოცხადებულია ვინმე ლილა ციფშიძე. სამწუხაროდ გაგვეპარა ეს [illegible], ვინაიდან ცნობილ მსახიობ ციფშიძეს ლილა კი არა, ელენე (ლენა) ჰქვია, ხოლო პუბლიკაციის ნამდვილ ავტორს – ელენე, თუმცა იგი ციფშიძე კი არა საყვარელიძე გახლავთ, მათ შორის საერთო სახელია და ის, რომ ორივე საქართველოს სახალხო არტისტები არიან. რედაქციაში გვეწვია პუბლიკაციის ნამდვილი ავტორი ქალბატონი ელენე საყვარელიძე. ჩვენმა შეცდომამ ის სარგებელი მოგვიტანა, რომ ქალბატონი თავისი ავტორობის დასადასტურებლად ხელცარიელი არ მოსულა, მან ქართველ ხელოვანთა ცხოვრებაში მომხდარი კურიოზების შესახებ სხვა ჩანახატებიც მოგვიტანა. ასე რომ, გთავაზობთ კურიოზების მთელ წყებას, რომლებიც ნომრიდან ნომერში დაისტამბება, რუბრიკას კი გაუძღვება სახალხო არტისტი, თეატრმცოდნე ქალბატონი **ᲔᲚᲔᲜᲔ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ.**

# კურიოზები

## ᲡᲐᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲝᲓᲐᲜ – ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ!

ომის შემდგომი წლები იყო. სოხუმის ქართული თეატრი ს.მთვარაძის „სურამის ციხეს" დგამდა, რეჟისორი გიორგი ჟურული იყო.

ამჟამად სოხუმს ორი კეთილმოწყობილი თეატრი ამშვენებს, იმ წლებში კი... სარეპეტიციო დარბაზი „დარბაზობას" ვერ დაიჩემებდა. ეს იყო ერთი პატარა ფარდული, სადაც ჩატეხილ ფანჯრის მინებს ჩვენივე მიჭედებული ფანერის ნაჭრები ცვლიდა. ზაფხულობით არა უშავდა რა, მაგრამ ზამთრობით ქარი ისე უბერავდა,



როგორც ზღვის სანაპიროზე. ერთი ძველი თუნუქის ღუმელი გვედგა, თუ ღმერთი ინებებდა და შეშას ვიშოვნიდით, სულის შებერვისთვის თავს არ ვიწუხებდით. ქარი თვითონ აღვივებდა ცეცხლს. ამ „დარბაზში" მიმდინარეობდა „სურამის ციხის" რეპეტიცია. „დარბაზი" ქუჩის განაპირას იყო, იმ გატეხილ ფანჯრებიდან და ღრიჭო ჩარჩოებიდან ხშირად შეგვიმჩნევია ნაირნაირი ფერის მოთვალთვალე თვალის კაკლები, გამოდის, რომ რეპეტიციასაც თავისი მაყურებელი ყავდა. ამას ის ღირსება გააჩნდა, რომ ჩვენ მუდამ პრემიერის განწყობილება გვქონდა. მაყურებელი ისაა, ვინც გიყურებს, და რა მნიშვნელობა აქვს, ჭუჭრუტანიდან გიყურებენ, თუ პარტერიდან?

დავიწყეთ მეორე მოქმედება, მკითხავ ვარდუას ჩაგონებით ჩემი შვილი ზურაბი ცოცხლად უნდა ჩაატანონ ციხის კედლებში. შემორბიან ჩაფრები და ხელიდან მგლეჯენ ჩემს ერთადერთ შვილს, მე რაც ძალი და ღონე მაქვს, განწირულად ვკივი:

— შვილო, ზურაბ! მიშველეთ ხალხო, შვილს მართმევენ ხალხო! მიშველეეეეეთ! შვილოოოოო! — ამასობაში ზოგი მე მექაჩება, ზოგიც ჩემს ერთას!..

ვთვლი, რომ ეს რეპეტიცია ძალზე დამაჯერებელი იყო, რადგან, უცებ, ჩვენი სარეპეტიციოს კარი ვიღაცამ ძალით შემოგლიჯა და თავს რევოლვერმომარჯვებული ორი მილიციელი დაგვადგა.

— ხელები! არ გაინძრეთ, თორემ გესვრით! — დაიძახა გოგოლის „რევიზორის" ფინალივით და ყველა ერთ პოზაში გავშეშდით.

— რა ხდება აქ? — ისევ გაისმა მბრძანებლური შეკითხვა და „რომელია აქ ზურაბიო" ისევ დაიძახა.

წინა პლანზე გამოვიდა შეშინებული მსახიობი ქალი, რომელიც ზურაბის კვალობაზე საკმაოდ შებერებულიც ჩანდა.

— ეეე-სსს??? გაკვირვებისაგან თვალები გადმოცვივდათ მილიციელებს. თავის შეკავება შეუძლებელი იყო და ყველამ ერთხმად გადავიხარხარეთ.

— იცინით არა?... განყოფილებაში რომ მიგაბრძანებთ, იქ გაცინებთ მაგ ხულიგნობისათვის!

როცა სიცილი დაცხრა, რეჟისორმა ახსნა დაუწყო მათ.

— იცით, ბატონებო, ესაა თეატრის სარეპეტიციო დარბაზი და ჩვენ ვმუშაობთ!

— თეატრი?... ჰოოო! დაირცხვინა კია, მაგრამ მაინც იხტიბარს არ იტეხდა. — კი მაგრამ თუ ველარ გავარჩიეთ მოგონილია თუ მართალი ეს რაღა გაჭირვებდა? შეცდომაში შეგვიყვანეთ და ეს როგორ შეიძლება?

— ჩვენი პროფესია ასეთია, პატივცემულო, შეცდომაში შეყვანისათვის გვიხდიან ფულს. ტყუილად შეგვაშინეთ მაგ რევოლვერებით!

მილიციელებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს.

— ეს რა რევოლვერია? მართლა ტყვია კი არ არის შიგა!...

— აგაშენათ ღმერთმა, ესე იგი, თქვენც შეგვიყვანეთ შეცდომაში, არა?

— ქვითი ვართ, ქვითი, ნუ გაგვიბრაზდებით! და კარისაკენ დაიძრნენ.

— ნახვამდის! აბა, ადგილებზე! ვიმეორებთ იგივე სცენას!

გასცა ბრძანება გიორგი ჟურულმა და სანამ მილიციელები სარეპეტიციოს დატოვებდნენ, ჩვენ უკვე ადგილებზე ვიდექით.

## ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

მთელი საქართველო მოიცვა ბოლო წლების (1987—91 წლების) აღზევებულმა ეროვნულმა მოძრაობამ, ზოგი აქეთ იყო, ზოგი იქით, ყველა ერთმანეთს ზომავდა, აკვირდებოდა და განსჯიდა. მე მყავს ერთი მეგობარი ქალი, დიდი თეატრალია, ზეპირად იცის ყველა წარმოდგენა, მსახიობთა ბიოგრაფია,



ყველას მონოლოგები და... ყველას პირადი საიდუმლო... იგი მეტად გონიერი ქალია და თუმცა გადაცილებულია აქტიური მებრძოლის ასაკს, მაინც ძალზე აქტიურობს თანამედროვე პოლიტიკაში და მე დიდ პატივს ვცემ მას, ცოტა დემოკრატიაში მოიკოჭლებს, ვერ იტანს საწინააღმდეგო აზრს, მაგრამ მაინც მომწონს მისი თავდადება, მომწონს, მაგრამ ერთ დღეს კინაღამ გადამრია, ღმერთმანი ნამეტანი მოუვიდა...

ავად გახდა და მარტოხელასთან ერთი ღამე გავათიე... ფხიზელი ძილი ვიცი და გავიგე რომ შუაღამისას ადგა, აივნიდან გადაიხედა, ფეხაკრეფით ჩამიარა, გასასვლელი კარი ფრთხილად გააღო და სახლიდან გავიდა... საშინლად შევწუხდი, სად უნდა წასულიყო ამ შუაღამისას? ცოტა ახალგაზრდა რომ იყოს, რაღაცას დავწამებდი... ახლა კი... ფიქრით თავი გამისკდა... ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ნინო კარებს მოუახლოვდა, ფრთხილად გამოაღო და... ოთახში შემოვიდა შინდისფერი ეროვნული დროშით ალმართული. გაოცებისაგან თვალები ლამის ბუდიდან ამომცვივდა, ამას რას ვხედავ? ქალმა დროშა საზეიმოდ ჩამოატარა ოთახში, შემდეგ აივანზე გავიდა და ქუჩაში გადაფინა...

ღმერთო ჩემო, ეს რა თავდადებული ყოფილა?... კარგია, როცა ადამიანი პოლიტიკურად აქტიურია, მაგრამ მეჩვენება, რომ ნამეტანია შუაღამისას ოთახში ეროვნული დროშით საზეიმო რიტუალის შესრულება, შემდეგ ქალბატონი პოლიტიკოსი დაწვა და მალე ნებიერი ფშვინვა ამოუშვა... მე კი რა დამაძინებდა, გაოცებული ვიყავი. მე თავს პატრიოტად ვთვლი, მაგრამ ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია? ნუთუ პოლიტიკურად ჩამოვრჩი, ნუთუ ასეთი სვლებიც არის საჭირო? ვაი შენ, ჩემო თავო? ამ ფიქრებში თავს დამათენდა. ვათვალიერებ ქალს და თითქოს ნორმალურად იქცევა, ბევრი ყოყმანის მერე მაინც ვკითხე, რად გინდოდა შუაღამისას ეროვნული დროშის ფრიალი? რატომ გადი ქუჩაში-მეთქი? მან გაკვირვებით შემომხედა — ბა რა უნდა მექნა, აივნიდან დავინახე, რომ ჩემი დროშა ქარს გადაეგდო და ვიფიქრე, რომ არ ამოეტანა, სხვა წაიღებდაო! საშინელი სიცილი ამივარდა... მე კი რა არ ვიფიქრე... რა არ დავწამე, გადავარდნილი უნდა ამოეტანა, მაშ რა ექნა? მაინც ყოჩაღ, ქალო, ცხრა სართულზე ჩახვიდე შუაღამისას, ულიფტოდ ამოხვიდე, ესეც ხომ საქმეა, ესეც ხომ თავდადებაა, და კარგი თავდადებაც!

## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

აფხაზეთში, აგუძერის დასასვენებელ სახლში, სადაც მე მედეა ჩახავასთან ერთად ვისვენებდი, იმ ზაფხულს ხსენებულ დასასვენებელ სახლში, თითქოს საგანგებოდ, ერთი ქართველი არ ისვენებდა. ამ ეროვნების წარმომადგენლები მხოლოდ ჩვენ, — ორი მსახიობი ქალი ვიყავით. მედიკოს ყველა სცნობდა და თავს არც თუ დაჩაგრულად ვგრძნობდით. მარტო ერთხელ გვაწყენინეს ორმა დიდმა ქართველმა — ნოდარ დუმბაძემ და გიგლა ფირცხალავამ, რომლებიც ნოდარის აგარაკზე ისვენებდნენ, იქვე, ჩვენი დასასვენებელი სახლის ახლოს. მათი ნახვა იმ „უცხო" გარემოცვაში ძალიან გაგვიხარდა, თუმცა სულ ორჯერ ვნახეც ისინი და დიდ დაინტერესებას ვერ ვატყობდით ჩვენით. როცა ამის შესახებ ვუსაყვედურეთ, არ დაგვიმალეს და პირდაპირ გვითხრეს:

— ამ რუსულ ვარსკვლავთცვენაში დროს ქართველ „ნაშებში" სწორედაც ვერ დავკარგავთო! — არც მთლად თავაზიანი განცხადება იყო, მაგრამ მაინც გულწრფელი და ჩვენც შევუნდეთ!

გავიდა ერთი კვირა. მედეას უცაბედმა



კბილის ტკივილმა გაგვაცნო დამსვენებელი, შორიდან ჩამოსული კბილის ექიმი, რომელიც ერთხელ ყვავილებითა და ხილით დატვირთული გვესტუმრა, ცხადია, შემოვიპატიჟეთ, მისი მოტანილი ხილით სუფრა გავშალეთ და კარზე კაკუნიც გაისმა, ნოდარი და გიგლა იყვნენ, ძალიან დაგივიწყეთ ჩვენ „ქართველი ნაშებო" და წამოდით ყავა დავლიოთო, სთქვეს, მაგრამ ოთახში შემოსვლისთანავე ღიმილი ტუჩებზე შეეყინათ, ჩვენი სტუმარი არც ქართველი იყო, არც რუსი და არც ქალი... ახალმოსულები სუფრასთან მოვიპატიჟეთ, მათ ერთმანეთს გადახედეს და ნოდარიმ მისი კეთილი ღიმილით წარმოსთქვა:

— დაკაგვიანეთ ჩემო გიგლა, უყურადღებოდ მიტოვებული „ქართველი ნაშები", საერთაშორისო ორბიტაზე გასულან! წავიდეთ, ჩვენი ბრალია, ჩვენ რომ საექსპორტო მამაკაცები არ ვიყავით, უნდა გვცოდნოდა და ჩვენებისთვის მიგვეხედაო, ერთი სიტყვით, ჭკუა წავაგეთ და ამიტომ ეს ვიღაც ბეყეირათი ჩვენს ვარსკვლავებში იფურჩქნებაო, მაგრამ წასვლა მათი ნება აღარ იყო, არ გავუშვით და ჩვენს სტუმარ „ბეყეირათთან" ერთად (იგი ნამდვილად სიმპათიური კაცი იყო) ყავის დასალევად წავედით სანაპიროს ერთ-ერთ ხეივანში.

## ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲜ

ვასო გოძიაშვილი ავად იყო, მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი ყავდა დედა და იგი, როგორც ყველა დედა, იჭვნეულად დარაჯობდა შვილის ჯანმრთელობას და სიმშვიდეს.

ავადმყოფს სანახავად ეწვია ერთი მეტად კეთილზნიანი და კარგი მსახიობი ქალი, კარი ბატონ ვასოს დედამ გაუღო და, იგრძნობოდა, რომ მას აშკარად არ ეპიტნავა შვილის „შეწუხება", თუმცა იგი ავადმყოფთან შეუშვა და თვითონ გაუჩინარდა.

ბატონმა ვასომ ძლიერ გაიხარა სტუმრის მისვლით, გახალისდა, ალაპარაკდა, რაღაც ამბები მოიგონეს და, წარმოიდგინეთ, სიმღერაც კი წამოიწყეს, კარგა ხანი რომ გავიდა, სტუმარი წამოდგა, დიდხანს შემოვრჩით, ვასო არ უშვებს, მაშინ ქალმა ხუმრობით ხმამაღალი სიმღერა წამოიწყო:

გათენებულა, გამიშვი,
გამიჯავრდება დედაო...

ოთახში მკაცრი გამომეტყველებით შემოიჭრა მსახიობის დედა.

— მთელი ღამე აქ იყო და ახლა ყვირის, გამიშვიო? — ჩაიბურტყუნა მან, სტუმარმა ეს გაიგონა და ვასოს გაკვირვებით შეხედა, მიშველეო, ვასო კი იღიმებოდა და სულაც არ აპირებდა სტუმრის რეაბილიტაციას, დედას მორიდებით შეჰკადრა — ახლავე წავა, დედა, მეორე ღამესაც ხომ არ დარჩებაო... სტუმარი შეწუხდა... რა ღამე, რას ამბობსო, მაგრამ როგორც კი დედამისი გავიდა ვასომ სტუმარი „დაამშვიდა", დედაჩემს მის ოთახში სულ სძინავს სკამზე ჩამომჯდარსო, ერთი წუთითაც რომ ჩაყვინთავს, უკვე მთელი ღამე გავიდაო, ფიქრობს, ახლაც რომ შემოვიდეს, უკვე მეორე ღამე ეგონება გასული... თან სიცილი აიტეხა, დროზე წადი, თორემ მე პასუხს არ ვაგებ, რომ ლამაზი გააღწევ აქედანო!...

გულგახეთქილი სტუმარი ფეხაკრეფით მივიდა კართან და ჩუმად გაიძურწა ოთახიდან, და მას ექოსავით მისდევდა ბატონი [illegible] ხარხარი...



ლელა კოდალაშვილის ილუსტრაციები

## სამადლობელი ბარათები

# ადამიანს სასწაულის მოხდენაც შეუძლია

### ქმრის წერილი

პატივცემულო მკითხველო! ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, რა თქმა უნდა ყველაფერმა ჩემზეც იტრიალა წისქვილის ბორბალივით. თავი რომ არ შეგაწყინოთ, ვეცდები მოკლედ გამოვხატო ჩემი სიხარული და მადლიერება ბ-ნ თამაზის მიმართ.

როგორც გაიგეთ, მე და ჩემს მეუღლეს გვქონდა ბევრი სასიხარულო წუთები, ემოციები, იყო შიშიც, უიმედობაც, ცრემლიც, ტანჯვაც, მაგრამ საბოლოო შედეგი შესანიშნავია.

სიმართლე რომ გითხრათ, თავდაპირველად წინაალმდეგი ვიყავი, რომ ჩემს მეუღლეს არათუ ყოლოდა ბავშვი, არამედ ეფიქრა კიდეც ოდესმე. ამას, რა თქმა უნდა, სოციალური მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ უმთავრესი იყო მისი ჯანმრთელობის და საერთოდ, გადარჩენის ფაქტორი. შეგახსენებთ, რომ ჩვენ სასტიკად, მკაცრად ვიყავით გაფრთხილებული ექიმებისგან ბავშვის ყოლაზე. შევეჩვიე იმას, რომ მყავს ერთი ვაჟი, რომელიც უსაზღვროდ მიყვარს და ვტკბები, როგორ იზრდება და ვაჟკაცდება. მაგრამ ხშირად მესმოდა ნაცნობ-მეგობრებისაგან, რომ ერთი შვილი არაა საკმარისი და ა.შ. ამას ემატებოდა ჩემი მეუღლის ჩუმი და უსაზღვრო სურვილი, მაგრამ მე სასტიკად უარვყოფდი. თუმცა, მეც მქონდა შინაგანად მეორე შვილის ყოლის სურვილი, მაგრამ არ ვამჟღავნებდი დაახლოებით ორი წლის წინ ჩვენ გავიცანით პიროვნება, რომელმაც ზემოაღნიშნული პრობლემა გადაგვაჭრევინა და მოგვცა შანსი, კიდევ განგვეცადა შვილის ყოლის ბედნიერება.

ბ-ნმა თამაზ თავაძემ მე და ჩემს მეუღლეს გადმოგვცა ისეთი ცოდნა, რომლითაც დავინახეთ ადამიანის ორგანიზმის უსაზღვრო პოტენციური შესაძლებლობა სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის. მისმა ერუდიციამ, ნიჭმა, კაცთმოყვარეობამ, პროფესიონალიზმმა თანდათან დიდი და სასიკეთო ცვლილებები მოახდინა ჩემს რწმენაში, შეხედულებებში.

როგორც ცნობილია, თამაზ თავაძე პროფესიონალი იოგია, მკურნალია. ჩემს თვალწინ ახდენდა ის სასწაულებს. გამიჩნდა დიდი ინტერესი აგნი-იოგასა და აღმოსავლური მედიცინის მიმართ. ბ-ნი თამაზის სწავლებითა და დახმარებით დამიგროვდა მცირე გამოცდილება და ცოდნა, რაშიც გადამადგმევინა ის ნაბიჯი, რომლისთვისაც მთელი სიცოცხლე უნდა ვიყოთ მისი მადლობელი და სიკეთის მსურველი.

ახლა, როცა ყველა უარყოფითი განცდა უკანაა, თავი ჯერ კიდევ ზღაპარში გვგონია. არც კი გვჯერა, რომ ეს ყველაფერი ცოტა ხნის წინ იყო აუხდენელი ოცნება. ხშირად ვიმეორებ გულში ჩემი მეუღლის ნათქვამ სიტყვებს — ღმერთო, გაახარე და ბედნიერი ამყოფე თამაზ თავაძე, როგორც მე გამხადა კიდევ ბედნიერიო. ღმერთმა უსმინოს, ამინ!

მართლაც, ვისაც კი ჰქონია საშუალება ბ-ნ თამაზთან შეხვედრისა, გაცნობისა და ურთიერთობისა, მიხვდება, რამდენად დიდ ადამიანთან, ჭეშმარიტ ღვთისმოყვარესთან, მოძღვართან და პროფესიონალთან ჰქონია საქმე. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს და კაცობრიობას ასეთი გონისა და ტალანტის მქონე ადამიანები.

დავით აბუაშვილი

## სენსაცია

# შაქრის დოლარები

პეტერბურგის ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში აღმოაჩინეს ყალბი დოლარები, რომლებიც მხოლოდ გემოთი შეიძლებოდა გაგერჩიათ ნამდვილისაგან. ეს დოლარები აღმოჩნდა ტკბილი.

ვერც ერთმა დეტექტორმა ვერ გამოიცნო ყალბი კუპიურების ქიმიური შემადგენლობა. მხოლოდ სპეციალურმა ექსპერტიზამ შეძლო გაერკვია ყველაფერი. პეტერბურგის ყველაზე თანამედროვე ლაბორატორიაში ახსნეს შემდეგი: საღებავის ქიმიურ შემადგენლობაში შედიოდა შაქარი და წებო. აღწერილ მოვლენების გასვლიდან რამოდენიმე კვირაში კი ერთ-ერთ სავალუტო პუნქტთან დააკავეს მოხუცებული ქალი, რომელსაც სისტემატურად შეჰქონდა ჯიხურში ზემოაღნიშნული „ტკბილეული“ და ცვლიდა რუსულ მანეთებზე. მოხუცი ირწმუნებოდა, რომ ამ დოლარებს ის იღებდა პაკისტანელი მდგმურებისაგან. პენსიონერი გაათავისუფლეს, მაგრამ მის სახლთან დააწესეს გაძლიერებული მეთვალყურეობა. ერთ დღეს დედაბერმა იყიდა რამოდენიმე ტომარა შაქარი, როგორც შემდეგ გამოტყდა, მურაბისთვის, პაკისტანელები მთელი კვირა არ გამოჩენილან. აღნიშნულ ბინაში რამოდენიმე დღის შემდეგ მივიდნენ, წამოიღეს მძიმე ტომრები და გაემართნენ ვასილევსკის კუნძულისაკენ, შევიდნენ ერთ მიტოვებულ სარდაფიან-ლაბირინთიან სახლში. სწორედ აქ ჩაატარა ჩხრეკა ოპერატიულმა ჯგუფმა, როცა „სახლის პატრონები“ შინ არ იყვნენ. გასაოცარი დაეშალათ თვალწინ: ძოძცოო პრინტერი — სპეციალური დანადგარი ყალბი კუპიურების დასაბეჭდად. სპეციალური მოწყობილობა კლიშეს ამოსაღებად. ჩვეულებრივი ქაღალდის ხვეულები. დოლარის შესაღები საღებავის 95 % აკვარელისგან, წებოსგან და შაქრისგან შედგებოდა. ერთი კვირის შემდეგ კი სამი „იღბლიანი ჯენტლმენიც“ დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი კუპიურის ჩაბარების მცდელობისას, მეორე — დედაბრის სახლში „ქირის“ გადახდისას, მესამეს კი პირდაპირ დანაშაულის ადგილას წაასწრეს. „შეღებვის წარმოება ყველაზე რთული პროცედურაა მთელ ამ პროცესში: შაქარი გეპნევა და გეწებება ხელებზე, პირში მუდამ საზიზღარი გემო გაქვს, ტუშით გესვრება თითები, და მთლიანად მასას კი ვერაფრით ვერ მოიცილებ. მთელი წელია, კტბილეულისკენ გახედვაც კი არ მინდა“ — ჩიოდა ერთ-ერთი დაკავებული.

ამ დანაშაულებრივი ფაქტის სხვა დეტალებს გამოძიება გაარკვევს.

ასეთი ორიგინალური ტექნოლოგია ინტერპოლსაც კი არ დაუფიქსირებია. და რომ არა ამდენი დანაშაულებრივი მომენტები, რომელსაც მთელი ეს ისტორია მოიცავს, დამნაშავის სოლიდური პრემიით დაჯილდოვებაც არ იქნებოდა ურიგო.


გაზეთი „საქართველო“ დაინტერესებულ კერძო და იურიდიულ პირებს სთავაზობს სარეკლამო მომსახურებას.

ჩვენი მისამართია: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5

ტელ. 93-20-36, 93-19-99, 93-18-41


## კროსვორდი



**შვეულად** 1. ნავთსაყუდელი. 2. მე-19 ს. დიდი ინგლისელი პოეტი. 3. დილის ვარსკვლავი. 4. უბანი თბილისში. 6. ლითონზე შესრულებული გრავიურა. 7. მოზამბიკის დედაქალაქი. 8. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი. 9. წერისადმი ავადმყოფობით დაავადებული ადამიანი. 13. სამხრეთ ამერიკული კუზიანი კურდღელი. 14. თავაშვებული ლრეობა. 18. წერილი. 20. მე-19 ს-ის ფრანგი კომპოზიტორი, კომიკური ოპერების ავტორი. 21. თხა, რომელიც ძუძუს აწოვებდა ზევსს პატარაობისას. 22. გმირი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. პოსეიდონისა და გეას შვილი. დაამარცხა ჰერაკლემ. მოსწყვიტა რა მიწას. 26. ფორტეს ანტონიმი. 27. საზეიმო სიმღერა.

**თარაზულად** 5. დიდი რომაელი პოეტი. 10. სოფელი იმერეთში. 11. მოხერხებულობა, სიმარჯვე. 12. მდინარე საფრანგეთში. 15. მე-19 ს. ამერიკელი მწერალი. 16. გამარჯვების ნიშანი. 17. თითის წვერზე შემოტრიალება ცეკვაში. 19. მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ. 23. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 24. ძველი ეგვიპტური ღვთაება. 25. სახალხო მგოსანი ყაზახეთში. 28. გამოჩენილი დანიელი საბავშვო მწერალი.

### წინა ნომერში ნამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. აპარატი 6. დიპლომი 12. მოემი 13. ადეპტი 14. ანბანი 17. წინასიტყვაობა 24. ერნანი 26. ეგეოს[illegible] 27. ლიბრი 28. შკიპერი 29. კიკლიპი.

**შვეულად:** 1. ეპიზოდი 2. სტარტი 3. გიტარა 4. ამირან[illegible] 7. ტემპი 8. გრიგი 9. ტიპი 10. რედაქტირება 11. კაბა 15. სი[illegible] 16. აბი 18. კრიტიკა 19. საკე 20. თოლია 21. ეგიდა 22. შელ[illegible] 23. ესტემპი 25. ინბური 26. ელეგია.

# სერგო გუჯეჯიანი



საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა ღირსეული მამულიშვილი სერგო გუჯეჯიანი.

ორი კვირაც არაა გასული შენი დაბადების დღე რომ აღვნიშნეთ. — 41 წელი დავახურდავეო, — იხუმრე ბიჭებთან და შვილები, ომარი და დიანა თავიანთ დედასთან გაიხსენე. ბათუმში იმყოფებიანო. თადარიგის უფროსმა ლეიტენანტმა ოჩამჩირის რაიონში მიმავალი ჯგუფის მეთაურობა იკისრე და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ბიჭებზე ფიქრობდი. არა ერთ და ორ დაქირავებულ მკვლელს დაუბნელა სინათლე შენმა ნასროლმა ტყვიამ, მაგრამ შენც იმ ბრძოლამ შეგიწირა. ძნელია ნუგეში ვცეთ შენს დაობლებულ ოჯახს, მშობლებსა და ახლობლებს, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ შენი სიკვდილი ძვირად დაუჯდებათ ჩვენს მტრებს. დაე, მსუბუქი იყო ის მიწა, რომელიც შენს წმინდა ცხედარს დაეყარა.

„მშვიდობის ლეგიონი“

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ინგა კვირკველიას მამის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს


მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:

93-20-36, 93-19-99 93-18-41